სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№6 (314) ივნისი, 2018 წელი

კურსდამთავრებულთა საზეიმო ღონისძიება 2018 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

გიყვარდეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ჩვენკენ ყოველთვის გვეყვარებით!

პროფესორი ზურაბ ვადაჯკორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

გვ 3

„მადლობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს!"
კურსდამთავრებულები ცხოვრების ახალ, მნიშვნელოვან ეტაპზე გადადიან. წინ დიდი და საინტერესო კარიერული გზაა!

გვ 3, 4, 5

ქიმიოთერაპია ისეთი ფართოა და იმდენ უჯრედს კლავს გზადაგზა, რომ ძალიან მძიმე გადასატანია პაციენტისთვის. ჩვენ ვლაპარაკობთ კიბოს მეტასტაზებზე, რომელსაც, უმეტეს შემთხვევაში, ქიმიოთერაპიაც არ შველის. იმუნოთერაპია საშუალებას იძლევა, რომ ჯანმრთელი უჯრედი დაავადებულისგან გაარჩიოს და ეფექტურად ჩაანაცვლოს ქიმიოთერაპია.

გიორგი გურული, ვირჯინიის უნივერსიტეტის
(VIRGINIA COMMONWEALTH UNIVERSITY) პროფესორი, თსსუ-ის კურსდამთავრებული

გვ 6

რამდენიმე წელია, რაც ქართულ-ამერიკული სამედიცინო ასოციაციის (GIMPHA) პრეზიდენტი ვარ და ვცდილობთ ხელი შევუწყოთ საქართველოში ჯანდაცვის სექტორის განვითარებას, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.

პროფესორი ზურაბ გურული, მისისიპის მონტგომერის სახელობის ფედერალური კლინიკის
ანესთეზიოლოგიის და ინტენსიური ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
თსსუ-ის კურსდამთავრებული

გვ 6

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ ბესარიონ კილასონიას ნაშრომი – „პორტრეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა" საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გამოსცა. წიგნში მოთხრობილია, როგორ მოხდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის აღდგენა თანამედროვე მეთოდებით, ასევე მოყვანილია ბევრი საინტერესო ისტორიული ფაქტი კლასიკოსის ცხოვრებიდან.

გვ 8

ლექცია გენომის ინფორმაციის გავლენაზე კლინიკური გადაწყვეტილებების დროს

2018 წლის 31 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სინგაპურის გენომის ინსტიტუტის ტრანსლაციური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, პროგრამა POLARIS-ის დირექტორმა, პროფესორმა ალექსანდრე ლეჟავამ, წაიკითხა ლექცია - „გენომის ინფორმაციის გავლენა კლინიკური გადაწყვეტილებების დროს“.

წლების განმავლობაში პროფესორი ალექსანდრე ლეჟავა მუშაობდა გენომის სადიაგნოსტიკო კვლევით კომპანია „Dx assays”-ში, კვლევის დირექტორის პოზიციაზე, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების, ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და იაპონიის რიკენის ინსტიტუტში, სადაც ათ წელზე მეტხანს ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის კვლევით ლაბორატორიას.

პროფესორ ალექსანდრე ლეჟავას კვლევის თემაა ახალი ტექნოლოგიების განვითარება გენომის სფეროში და მოლეკულური დიაგნოსტიკა. მისი პუბლიკაციები გამოქვეყნებულია სხვადასხვა წამყვან სამეცნიერო ჟურნალში; ის გახლავთ რამდენიმე სამეცნიერო გამოგონების ავტორი (სამეცნიერო გამოგონების მფლობელი).

ღონისძიება გახსნეს და საზოგადოებას მომხსენებელი წარუდგინეს: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ზაზა ბოხუამ და თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ.

პროფესორმა ალექსანდრე ლეჟავამ საზოგადოებას გააცნო თავისი საქმიანობის მთავარი ასპექტები. მან აღნიშნა, რომ ლაბორატორიის მიზანი არ არის მხოლოდ კვლევითი სამუშაოების წარმოება, არამედ მისი მთავარი ღირებულება მეცნიერების დახმარებით საზოგადოებისთვის მაქსიმალური სარგებლის მოტანაა.

ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, შესაძლებელი გახდა ტუბერკულოზის, ონკოლოგიური დაავადებების და კეთრის მკურნალობაში ახალი მიდგომების დანერგვა, რაც კომპანია POLARIS-ის საქმიანობის მნიშვნელოვანი შედეგია.

ბატონმა ალექსანდრემ ისაუბრა გენეტიკის უახლეს მიღწევებზე, როგორიცაა: ტრანსლაციური კვლევები, კლინიკური სექვენირება და მოლეკულური დიაგნოსტიკა, თხევადი ბიოფსია და ბიომარკერები.

მეცნიერის განცხადებით, ტრანსლაციური კვლევები და მოლეკულური დიაგნოსტიკა, რასაც ადამიანის გენომის გაშიფვრის შემდგომ კლინიკურ პრაქტიკაში აქტიურად იყენებენ, საფუძვლად დაედო პაციენტის მკურნალობისადმი ინდივიდუალურ მიდგომასა და პერსონალიზებული მედიცინის განვითარებას, რომელიც სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს კლინიკურ პრაქტიკაში.

ქართველი მეცნიერის განცხადებით, ბიოლოგების, გენეტიკოსების და პრაქტიკოსი ექიმების ერთობლივი ძალისხმევით, მეცნიერული ინოვაციების პრაქტიკაში დანერგვით, არაერთ ძნელად სამართავ დაავადებასთან წარმატებული ბრძოლა გახდება შესაძლებელი.

თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსის ვიზიტი იტალიაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსი, ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი დავით თოფურია, 28 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით საქმიანი ვიზიტით იტალიაში იმყოფებოდა.

„ერაზმუს +“–ის პროგრამის ფარგლებში ლექციათა კურსის ჩატარებისთვის ბატონი დავითი ქ. პიზის უნივერსიტეტს ეწვია. მან ლექციები წაიკითხა უნივერსიტეტის მეორე სემესტრის სტუდენტებისა და ანატომიის დეპარტამენტისა და კლინიკის თანამშრომლებისთვის.

ვიზიტის ფარგლებში ასოცირებული პროფესორი დავით თოფურია პიზის უნივერსიტეტის ანატომიის დეპარტამენტის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრაზე უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. თსსუ-სა და პიზის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის დაიგეგმა თანამშრომლობა გაცვლითი პროგრამების ფარგლებში.

სპორტული მედიცინის საერთაშორისო კონფერენციაზე

2018 წლის 8 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიხსნა სპორტული მედიცინის მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც წელს სპორტული მედიცინის სხვადასხვა დარგის ესტონელი, სერბი, მოლდოველი და ლიეტუველი ექსპერტები სტუმრობდნენ.

კონფერენციის სტუმრები, ასევე, იყვნენ საქართველოს ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ნინო სალუქვაძე და საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელი, ედიშერ მაჩაიძე.

კონფერენცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრის დირექტორმა, საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტმა, ვალერი ახალკაცმა გახსნა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, მისასალმებელ სიტყვაში უნივერსიტეტის მნიშვნელობასა და საერთაშორისო კავშირებზე ისაუბრა.

კონფერენციის ერთ-ერთმა მონაწილემ ლიეტუვიდან, პროფესორმა ემილის ჩეკანაუსკამ, საზოგადოებას საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავი მიულოცა და აღნიშნა, რომ ლიეტუვა ყოველთვის იყო, არის და იქნება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მხარდამჭერი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ლელა მასხულიამ, აღნიშნა, რომ სპორტული მედიცინის საერთაშორისო კონფერენცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უკვე ტრადიციად იქცა, რაც მნიშვნელოვანია, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ კოლეგებთან კვლევის შედეგების გაზიარებისთვის.

ანაგადამდები დაავადებებისადმი მიძღვნილი მეორე კონფერენცია

2018 წლის 8 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში არასამთავრობო ორგანიზაციის — „ახალგაზრდები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისთვის“ და კლუბ „ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტის” ორგანიზებით გაიმართა არაგადამდები დაავადებებისადმი მიძღვნილი მეორე კონფერენცია.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც წარმოადგინეს მოხსენებები ისეთი დაავადებების შესახებ, როგორებიცაა: ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა, ფსორიაზი, ფილტვის ქრონიკულ ობსტრუქციული დაავადებები და სხვა.

კონფერენციაზე გამოვლინდნენ საუკეთესო მომხსენებლები: მესამე ადგილი დაიკავა კამილ ეფენდიევმა (მოხსენებით — ფილტვის ქრონიკულ-ობსტრუქციული დაავადებების შესახებ), მეორე ადგილი: თინა ცისკარაულმა და ნანა ხეჩუაშვილმა — სარძევე ჯირკვლის კიბოს შესახებ მოხსენებით, ხოლო პირველი ადგილი: ანა დემურაშვილმა და დავით ჯიბღაშვილმა — მოხსენებით ულოლითიაზის შესახებ.

სოციოლოგია მედიცინაში

თსსუ-ს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტში ჩატარდა პირველკურსელთა ყოველწლიური კონფერენცია „სოციოლოგია მედიცინაში“. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა პირველკურსელთა კვლევები ჯანდაცვისა და უმაღლესი სამედიცინო განათლების პრიორიტეტულ საკითხებზე, როგორიცაა: სამედიცინო დახმარების უსაფრთხოება, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა და კმაყოფილება, სტუდენტთა დასაქმება და სხვა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს: მარიამ შოთაძემ, ქეთევან გომართელმა, ანა ბერიშვილმა, ანა ადამაძემ, ლიდა იაშვილმა, ანა ბენდელიანმა, კესო გვენცაძემ, მარიამ რაზმაძემ, სალომე ტურძილაძემ, მარიამ ხარაიშვილმა, თამარ მუხაძემ, ვახტანგ ილურიძემ.

თსსუ-ის სტუდენტების აქტივობა გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

2018 წლის 5 ივნისს, გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ეზოში გაიმართა დასუფთავების აქცია. ღონისძიების ორგანიზატორი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საინიციატივო ჯგუფი — ,,სტუდენტები სტუდენტებისთვის“ იყო.

5 ივნისი გარემოს დაცვის დღედ 1972 წლის 15 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით, ეს დღე გარემოსდაცვით ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას და მისი გადაჭრის გზებს ეძღვნება. ამ დღის აღნიშვნის მიზანი საზოგადოების გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ამაღლებაა.

ერთობლივი კონფერენცია

მიმდინარე წლის 1 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ორგანიზებით, ჩატარდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ერთობლივი კონფერენცია, რომელიც პროფესორ იოსებ კვაჭაძის დაბადებიდან 90 წლისთავს მიეძღვნა.

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ გამოცხადდა სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები:

„ოქროს ბუმბული“ გადაეცა პროფესორ პაატა კერვალიშვილს, „ოქროს ლანცეტი“ — თსსუ-ის ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ ზურაბ კაკაბაძეს, „ოქროს სტეტოსკოპი“ - პროფესორ გურამ რცხილაძეს, ხოლო მადლიერების სიგელი - პროფესორ იოსებ კვაჭაძის ოჯახს.

სიგელი „რჩეული ქართველი“ გადაეცა ამაგდარ ემიგრანტს, ელისო ტარასაშვილს და „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გენერალურ მენეჯერს, მაკა ბურჯანაძეს.

თსსუ-ის ნეონატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ირაკლი ფავლენიშვილმა, საორგანიზაციო ჯგუფის გადაწყვეტილებით, სიგელები გადასცა რუსეთ-საქართველოს ომში გაწეული საექიმო თავდადებისთვის შემდეგ ნომინანტებს: ბაადურ ზიმლიცკის; თბილისის ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს დირექტორს, ჯონი ჯანაშიას; დავით მუხიგულს; „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ სოციალური პროექტების დირექტორს, ივანე ცხომელიძეს; თსსუ-ის სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტის პროფესორს, დავით ცხომელიძეს.

პროფესორმა დავით ცხომელიძემ საინიციატივო ჯგუფის სახელით განაცხადა, რომ ბატონი გიორგი ჩახუნაშვილი დაჯილდოვდა როგორც „2017 წლის რჩეული საქართველოში”.

კონფერენციის შესავალი ნაწილის დასრულების შემდეგ აუდიტორიამ მოისმინა სამეცნიერო მოხსენებები.

ტრენინგი - ობიექტურად სტრუქტურებული კლინიკური გამოცდა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის აკადემიური განვითარების ცენტრში და თსსუ-ის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის ბაზაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის 1,2, 4 დეპარტამენტებისა და შინაგან დაავადებათა 3 დეპარტამენტის აკადემიურმა პერსონალმა და მოწვეულმა პედაგოგებმა გაიარეს 7 დღიანი ტრენინგი ობიექტურად სტრუქტურებული კლინიკური გამოცდის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ობიექტურად სტრუქტურებული კლინიკური გამოცდა, სტუდენტის ცოდნის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე მეთოდია. მსგავსი გამოცდა არა მხოლოდ სტუდენტის თეორიულ ცოდნის, არამედ მისი კლინიკური უნარ-ჩვევების, ანალიზისა და მსჯელობის, პაციენტთან კომუნიკაციის უნარების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის ბაზაზე უკვე ხუთი წელია წარმატებით ტარდება ინტეგრირებული ობიექტურად სტრუქტურებული კლინიკური გამოცდა მეანობა-გინეკოლოგიაში. აღსანიშნავია, რომ 2018-2019 სასწავლო წლისთვის იგეგმება მსგავსი გამოცდების პედიატრიისა და თერაპიის მიმართულებით ჩატარება.

„მედეა 2018“

15 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა სტუდენტთა სასწავლო კონფერენცია — “მედეა 2018”, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამივე უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

კონფერენცია გახსნა თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა გიორგი მიქაძემ, მონაწილეებს სიტყვით მიესალმნენ: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირინე ფხაკაძე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სოფიკო კვარაცხელია და თსსუ-ის ემორის პროგრამის დირექტორი ეკა ეკალაძე.

კონფერენცია მიმდინარეობდა 2 პარალელურ სესიად (ქართული და ინგლისური). ქართული სესიის საუკეთესო მოხსენებად ჟიურიმ გამოავლინა თსსუ-ის სტუდენტის ლუკა ჯაშის მოხსენება, ხოლო ინგლისურენოვანი სესიის საუკეთესო მოხსენებად დასახელდა ბათუმის სახელმწიფო უნიერსიტეტის სტუდენტის, სურაბჰი გუპთას მოხსენება.

კონფერენცია „მედეა 2019“-ს უმასპინძლებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პირველსემესტრელები — საინტერესო თემატიკით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტში 4 ივნისს ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი. კონფერენციის ჩატარების ორგანიზატორი გახლდათ პროფესორი ეკატერინე მჭედლიშვილი. კომპეტენტურმა ჟიურიმ, პროფესორ მანანა ჭიპაშვილის (თავმჯდომარე), პროფესორების — ეკატერინე მჭედლიშვილის და დავით ცხომელიძის — შემადგენლობით, შეარჩიეს და დაასახელეს საუკეთესოთა შორის საუკეთესო ნაშრომები, რომელთა ავტორები შესაბამისი პრიზებით და სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ. პირველი ადგილი გაინაწილეს — ელენე ფირცხალავამ, ლუკა მადურაშვილმა, მერი ფიფიამ, ნინო ხურცილავამ და ონისე ყველაშვილმა; მეორე ადგილი დაიმსახურეს — თინათინ მიგინეიშვილმა, გიორგი მამარდაშვილმა, თინათინ ჭარბაძემ, თინათინ ლეჟავამ და თამარ კიკნაძემ; ირაკლი ყაზაიშვილი, რევაზ სულუხიამ და ლევან ბაჯელიძემ კი, შესაბამისად, მესამე საპრიზო ადგილები მოიპოვეს; ამასთან, ნომინაციაში — თემის სიღრმისეული წარდგენა — ქრისტინე ჩარგაზიამ, ხოლო საუკეთესოდ წარდგენილი პრეზენტაციით — თომა რთველიაშვილმა, ნინო თამარაშვილმა გაიმარჯვეს.

გიყვარდეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ჩვენც ყოველთვის გვეყვარებით!

ძვირფასო კურსდამამთავრებლებო, გილოცავთ უნივერსიტეტის დამთავრების დღეს, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში დიდი შრომის შედეგად მოიპოვეთ; მინდა დიდი წარმატებები გისურვოთ.

განსაკუთრებულ მნიშვნელოვანია ეს დღე ჩემთვისაც, როგორც თქვენი ალმა-მატერის რექტორისთვის და, ცხადია, როგორც თქვენი პედაგოგისთვისაც. ჩვენი აკადემიური პერსონალი თქვენ გვერდით იყო და მომავალშიც თქვენს მხარდაჭერას გააგრძელებს! თითოეულ მათგანს უსაზღვროდ გაახარებს თქვენი წარმატება და თუ დაგჭირდებათ, ყოველთვის დაგეხმარებიან პროფესიული რჩევით...

დღევანდელ დღეს ვულოცავ თქვენი ოჯახის წევრებს მათი მხარდაჭერა რომ არა, არ იქნებოდა ეს დღე ასეთი ლამაზი თქვენს ცხოვრებაში.

მინდა გითხრათ, რომ თქვენ ამთავრებთ რეგიონში საუკეთესო სამედიცინო უნივერსიტეტს. ამაში სწავლის მანძილზე თქვენ კარგად დარწმუნდით. ჩვენი სწავლის მეთოდების, საგამოცდო მეთოდების ასათვისებლად გვსტუმრობდნენ უცხოელებიც, მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნებიდან და ალბათ საამაყოა, როცა გაკვირდებიან და შენგან ახალს სწავლობენ განვითარებული ქვეყნების წარმომადგენლები; ჩვენთან სტაჟირებაზე ჩამოდიან უცხოეთიდან. ისინი ძალიან კარგი შთაბეჭდილებით ბრუნდებიან სამშობლოში.

ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავ იმას, რომ ეს თქვენი უნივერსიტეტია, რომელმაც მოგცათ ყველაფერი და არავითარ შემთხვევაში, დღევანდელი დღე არ არის განშორების დღე. თქვენ მიდიხართ იმისთვის, რომ ძალიან მალე დაბრუნდეთ ახალგაზრდა სპეციალისტებად, პროფესორებად, იმ პროფესიონალებად, რომელიც შემდეგში არაერთ თაობას აღუზრდის ქვეყანას. თქვენ უნდა დარჩეთ ამ უნივერსიტეტის ყველაზე დიდ გულშემატკივრებად, როგორც მთელ მსოფლიოშია — ყველას უყვარს თავისი უნივერსიტეტი, თსსუ კი განსაკუთრებით უყვართ მის კურსდამთავრებულებს - ბევრი რამ ამ უნივერსიტეტში კურსდამთავრებულების მხრებზე გადადის, ისინი ყველაფერს აკეთებენ თქვენთვის, უნივერსიტეტის ყოველდღიური ფუნქციობისთვის.

წარმატებულ სპეციალისტად გასახდომად არც თუ ისე გრძელი გზა დაგრჩათ გასავლელი — მნიშვნელოვანია სწორი არჩევანი გააკეთოთ ახლავე, მომავალ წლებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თუ როგორი პროფესიონალები იქნებით სამომავლოდ. თქვენ პროფესიულ სივრცეში თავი უნდა დაიმკვიდროთ მხოლოდ და მხოლოდ ცოდნით. რეზიდენტურაში სწავლის წლები გაგიხსნით გზას წარმატებული პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად და კონკურენტუნარიან სპეციალისტად გახდომისკენ. თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენი საუნივერსიტეტო კლინიკები საუკეთესო სამედიცინო გამოცდილების წყარო იყო თქვენთვის. ამ კლინიკურ ბაზებზე თქვენ გაცილებით მეტის საშუალება მოგეცათ, რომ გესწავლათ, ვიდრე ეს სხვას შეიძლებოდა მისცემოდა. თქვენ, როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, ერთი ნაბიჯით წინ ხართ სხვებზე და იცოდეთ, რომ მომავალი თქვენს ხელშია.

გისურვებთ ყველაფერ კარგს. გიყვარდეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ჩვენც ყოველთვის გვეყვარებით!

**პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის რექტორი**

2018 წლის კურსდამთავრებულები ალმა მატერზე

ჩემი მეორე სახლი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თითოეულ ჩვენგანს პროფესიის სრულფასოვნად დაუფლების საშუალებას გვაძლევს. არასდროს დავვეჭვებულვარ არჩევანის სისწორეში, რადგანაც სწორი არჩევანი გაძლევს შესაძლებლობას — იყო ბედნიერი. მედიცინის ფაკულტეტის პირველსემესტრელმა, გულისყურით დავიწყე მედიცინის საფუძვლების შესწავლა, დროის რაციონალური გადანაწილებით შევძელი სწავლისა და აქტიური სტუდენტური ცხოვრების ერთმანეთთან შერწყმა. სწავლა უპირველესი იყო, თავიდანვე დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდე არჩეულ პროფესიას, რაც მომავალ წარმატებებზე აისახა; მამის ნათქვამი ხშირად მახსენებდა თავს: „პირველი დღეებიდანვე გულისყურით მოეკიდე არჩეულ პროფესიას, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში მოღვაწეობას გავალებს. კარგი დასაწყისია საუკეთესო მომავლის გარანტი“. 6 წლის განმავლობაში ვიყავი პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიატი, რომელიც პასუხისმგებლობას მიათკეცებდა როგორც საკუთარი თავის, ასევე მასწავლებლებისა და მეგობრების წინაშე. სწავლის გარდა, ჩემთვის დაუვიწყარია უნივერსიტეტში გატარებული ხალისიანი წლების თითოეული დღე — სტუდენტური თვითმმართველობის გუნდთან ერთად, წარმატებით განვახორციელეთ არაერთი საინტერესო პროექტი, ვიყავი 2016 წლის სტუდენტური დღეების ფინალისტი, 2015 წლის სტუდენტური ოლიმპიადის, ინტელექტუალური შეჯიბრისა და სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე, საესტრადო გუნდშიც ვმღეროდი, გაცვლითი პროგრამით საზაფხულო სკოლა უკრაინაში გავიარე, ცოდნასთან ერთად, ბევრი მეგობარი და კოლეგა შევიძინე, მრავალ სპორტულ შეჯიბრშიც ვმონაწილეობდი — ვიყავი ფრენბურთელთა გუნდის წევრი და, ასევე, გამარჯვებულიც მაგიდის ჩოგბურთში.

მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით გასრულდა სტუდენტობის ხანა, რაც მომავალი წარმატებების სტიმულია. სტუდენტებს ვურჩევ, გულმოდგინედ დაეუფლონ ცოდნას, ზოგჯერ შეიძლება თეორიული ცოდნა ნაკლებმნიშვნელოვნად მიიჩნიოთ, მაგრამ ეს ასე როდია. საფუძვლიანად ვსწავლობდი, მაგრამ შესასწავლი კიდევ ბევრია, გული მწყდება ყველა შანსი რომ ვერ გამოვიყენე. უარი არ თქვათ საკუთარ ოცნებებზე, იყავით მიზანდასახულები და ყველაფერს შეძლებთ, საკუთარ თავში ეძიეთ პრობლემა და არა სხვაში. ერთხელ ჩვენმა პედაგოგმა, ქალბატონმა რუსუდან რუხაძემ, ლექციის მსვლელობისას ასე მოგვმართა: „უნივერსიტეტი კედლები და პროფესურა არ გეგონოთ, უნივერსიტეტი თქვენ ხართ“. მადლობას ვუხდი თსსუ-ის შესანიშნავ პედაგოგებს, პროფესორებს: თეიმურაზ პეტრიაშვილს, ირინა კვაჭაძეს, ელენე აბზიანიძეს, ნიკოლოზ გონგაძეს, თინათინ ჩიქოვანს; არასდროს დავივიწყებ მათ, რადგანაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჩემი მეორე სახლია.

**გიორგი ჭოლაძე,
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული**

სვლა მომავლისკენ

სიტყვებისა და ემოციის თავმოყრა ძალიან მიჭირს, იმის გადმოსაცემად, რასაც ახლა ვგრძნობ. უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან ცხოვრების უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებით ჩემი მომავალი სამედიცინო სფეროს დავუკავშირე. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩავაბარე, სადაც არაჩვეულებრივი 6 წელი გავატარე. დაუვიწყარ ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა, ცოდნის შეძენის თვალსაზრისით თითოეული დღე საინტერესო და სიახლის მომტანი იყო ჩემთვის. პატივისცემასა და და მადლიერებას გამოვხატავ პედაგოგების მიმართ, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენთვის ცოდნის მაქსიმუმი გადმოეცათ: ლია მინდიაშვილის, შინაგან დაავადებათა N 3 დეპარტამენტის პროფესორის, პრაქტიკული მეცადინეობები, მხოლოდ სტუდენტისა და ლექტორის ურთიერთობა როდი იყო, არამედ, სწავლებასთან ერთად, ცხოვრებისეული და სამედიცინო გამოცდილების გაზიარება და მეგობრობა...

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის 7 გაცვლით პროგრამაში მივიღე მონაწილეობა და სტაჟირებები გავიარე ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: პოლონეთი, უკრაინა, თურქეთი, ჰოლანდია. საშუალება მომეცა საუკეთესო კლინიკებში, წამყვან სპეციალისტებთან ერთად, მესწავლა და მემუშავა, რისთვისაც მადლობას ვუხდი ERASMUS+-ის კოორდინატორს, ქალბატონ ნინო კანდელაკს, რომლის მხარდაჭერითა და ძალისხმევით, 2018 წელს ამავე პროგრამის გრანტი მოვიპოვე და ერთი სემესტრის განმავლობაში ვსწავლობდი პოლონეთში, ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტში. დიდი მადლობა საპარტნიორო ფონდს — კერძოდ, დავით საგანელიძეს, სახელობითი სტიპენდიის მონიჭებისთვის.

მეამაყება, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მერქმევა, თუმცა ეს ურთიერთობა სამომავლოდაც გაგრძელდება. წარმატებებს ვუსურვებ ჩემს კოლეგებს, რადგან მჯერა, ჩვენ, ის თაობა ვართ, რომელიც პროგრესისკენ ისწრაფვის და მომავლის შეცვლა შეუძლია. ჩემს უნივერსიტეტს კი ვუსურვებ ღირსეული წარსულით სვლას ნათელი მომავლისკენ.

**ქეთევან თავაძე,
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული**

2018 წლის კურსდამთავრებულები

ცრადიციებით მომავლისკენ

ბავშვობაში, ყოველთვის ექიმის როლი მქონდა მორგებული. ოცნება დაახლოებით, 18 წლის შემდეგ ამიხდა. თურმე, ბავშვობის ოცნებებიც ხდება... აბიტურიენტობის პერიოდი ეს ის დროა, როდესაც გიწევს მომავალი პროფესიის შერჩევა, რომელსაც, გარკვეულწილად, თავი უნდა მიუძღვნა. გამომდინარე იქედან, რომ ოცნება „თეთრი ხალათზე“ გადიოდა, გადავწვიტე პირველი არჩევანი სწორედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე შემეჩერებინა. კარგად მახსოვს 5 წლის წინანდელი მოლოდინი და ემოცია, როდესაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, თანაც - გრანტით. არ დამავიწყდება უნივერსიტეტის პირველი დღე, ვიყავი ბედნიერი, ამაყი და ამავდროულად - ცოტა შეშინებული. გაირბინა სტუდენტობის ხუთმა წელმა. ბედნიერი ვარ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. თსსუ-ის სტუდენტობა მოითხოვს თავდაუზოგავ შრომას, მაგრამ წარჩინებული სტუდენტის სტატუსი და, სტიპენდიები, დიდი მოტივაცია და წახალისება იყო უნივერსიტეტისგან ყოველი შემდგომი სემესტრისთვის.

სტუდენტობის პერიოდში ვიყავი ჯგუფხელი, ფაკულტეტის საბჭოს წევრი. გარდა ამისა, როგორც სტუდენტი, აქტიურად ვმონაწილეობდი, შიდა, და ასევე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. 2018 წლის აპრილში შესაძლებლობა მომეცა მონაწილეობა მიმეღო უკრაინაში, ქ. ჩერნოვიცში გამართულ სამედიცინო-ფარმაცევტულ კონგრესში, სადაც სამეცნიერო ნაშრომის საუკეთესო პრეზენტაციისთვის გადმომეცა დიპლომი და სერტიფიკატი. მიილია სტუდეტობის 5 წელი. უნივერსიტეტმა გამაცნო და შემძინა არაერთი მეგობარი.

პროფესორ-მასწავლებლები წლების განმავლობაში თავდაუზოგავად გვიზიარებდნენ საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას, გვასწავლეს მისი პრაქტიკაში გამოყენება, ეთიკა, ზნეობა, სიკეთის უანგარო კეთება. მახსოვს პირველი პაციენტი, მკურნალობის შედეგით გამოწვეულმა მისმა მადლიერებამ, შიში დამაძლევინა და გამბედაობა შემძინა.

უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ სამსონ მღებრიშვილს, მისი ძალისხმევით, ჩვენი ფაკულტეტი კვლავ პრესტიჟული და წარმატებულია.

მადლობა დეკანის მოადგილეს, არაჩვეულებრივ პიროვნებას, საუკეთესო პედაგოგსა და ექიმს, ასოცირებულ პროფესორ ნანა ყიფიანს, რომელიც გვერდში გვედგა თითოეულ ჩვენგანს სასწავლო პროცესის პერიოდში, ასევე, ქალბატონებს: მარიკა სადაღაშვილს, ლიკა ტოგონიძეს, რომელთა კეთილსინდისიერი დამოკიდებულება სტუდენტებისადმი მართლაც, სანიმუშოა.

მადლობა თითოეულ პროფესორ-მასწავლებელს შრომისთვის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი თსსუ-ის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, უნივერსიტეტის განვითარებისთვის შეტანილი წვლილისთვის.

ამაყი ვარ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული რომ მქვია, რომელსაც არაერთი ექიმი, მეცნიერი, აღუზრდია და რომელთა შრომაც ფასდაუდებელია არა მხოლოდ ქართულ, არამედ, - მსოფლიო მედიცინაში. დიდი ტრადიციების და ისტორიის მქონე სამედიცინო უნივერსიტეტი აგრძელებს ღირსეულ სვლას მომავლისკენ!

თეკლა რთველაძე,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

ექიმობა ღვთით ნაბოძები პროფესიაა

ექიმობა ღვთისგან ნაბოძები პროფესია – ჩემთვის თეთრ ხალათთან ასოცირებული ბავშვობის დროინდელი ოცნებაა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარება სკოლის პერიოდის მყარი და მტკიცე გადაწყვეტილება იყო.

ერთი შეხედვით, ხანგრძლივი, მაგრამ სწრაფად განვლილი 5 წელი, ბოლო ზარი, სევდანარევი სიხარული, ურთულესი, მაგრამ, ამავდროულად უბედნიერესი სტუდენტობის დასასრული, ექიმის ფიცი, უდიდესი პასუხისმგებლობა და ცხოვრების წესად ქცეული პროფესია.

გუშინდელი დღესავით მახსოვს აბიტურიენტობა, ეროვნული გამოცდები, შედეგების მოლოდინი და დაფინანსების მოპოვება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

პირველი დღე — თეთრ ხალათში გამოწყობილი უამრავი პირველსემესტრელი, საზეიმო მილოცვა, ახალი საზოგადოება.

შემდეგ იყო ურთულესი პერიოდი, თეთრად გათენებული ღამეები, თავდაუზოგავი შრომა, უამრავი გამოცდა და სემესტრის ბოლოს სიამაყის, სიხარულის შეგრძნება და მომავალი წარმატებებისთვის უფრო დიდი მოტივაცია– შრომით მოპოვებული სტიპენდია.

გამიმართლა საუკეთესო ჯგუფით, რომელიც მუდამ პირველი იყო, უნივერსიტეტმა შემძინა საერთო ინტერესების მქონე მეგობრები, გამიმართლა პროფესორ–მასწავლებლებში, მათ არა მარტო პროფესიული განათლება მოგვცეს, არამედ გვასწავლეს ადამიანების სიყვარული, უანგარო სიკეთის კეთება და ხალხის სამსახურში დგომა, რაც აუცილებელი თვისებებია წარმატებული ექიმისთვის.

ბედნიერი ვარ, რომ მივიღე დიდი ცოდნა და ამავდროულად უდიდესი გამოცდილება, მადლიერი პაციენტების თვალებში დანახული ბედნიერების ნაპერწკალი დიდი მოტივაციაა შემდგომში უმაღლესი საფეხურების დასაპყრობად.

ვფიქრობ, სტომატოლოგიის ფაკულტეტი ნამდვილად გამორჩეულია უნივერსიტეტში, სტაჟირება იყო ჩვენი სტუდენტობის განუყოფელი ნაწილი, ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ სტუდენტობა „ჩემს უნივერსიტეტში“ იყო ნაყოფიერი.

უდიდესი მადლიერება მინდა გამოვხატო სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ სამსონ მღებრიშვილის და მისი მოადგილის, ასოცირებული პროფესორის ნანა ყიფიანის მიმართ. ისინი სტუდენტობის პირველივე დღეებიდან იყვნენ ჩვენი გულშემატკივრები.

მადლობას ვუხდი თსსუ–ს რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, უნივერსიტეტის წინსვლისა და აღმშენებლობისთვის. მისი დამსახურებით სტუდენტებს საშუალება გვქონდა კვალიფიკაციის ასამაღლებლად სტაჟირება გაგვევლო ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში.

უღრმესი მადლობა ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ მარინა მამალაძეს, ჩვენს თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში შეტანილი უდიდესი წვლილისთის.

მადლობა თსსუ-ის აკადემიურ პერსონალს.

ამაყი ვარ, რომ გავიზარდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, რომელიც უდიდეს ისტორიას და ტრადიციებს იტევს, რომელმაც უამრავი ღირსეული ექიმი და მეცნიერი აღზარდა, რომელიც სამედიცინო განათლების გამორჩეული ტაძარია.

დღევანდელი დღე დასასრულია ჩვენი პროფესიული განვითარების პირველი ეტაპის და დასაწყისი– სირთულეებით და წინააღმდეგობებით აღსავსე გზის, დიდი მომავლის.

მომავალ სტუდენტებს ვურჩევ, მაქსიმალურად გამოიყენონ თითოეული დღე, პასუხისმგებლობით მოეკიდნონ საექიმო საქმიანობას, ეს პროფესია ხომ უდიდეს სულიერ განცდასთანაა დაკავშირებული.

სალომე გოგატიშვილი,
სტომატოლოგიის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული

დაუვიწყარი სტუდენტობა

ბევრისთვის სტუდენტობა ცხოვრების ერთი ჩვეულებრივი პერიოდია, ჩემთვის, კი ახლის გააზრებისა და შეცნობის. მას შემდეგ, რაც სტუდენტი გავხდი, ჩემში არაერთი უნარი და შესაძლებლობა აღმოვაჩინე. შეუძლებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლობდე და ჩვეულებრივი სტუდენტობა გქონდეს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტმა სწავლის პერიოდში გავითავისე იმ განსაკუთრებული შრომის სიმძიმე, რასაც ამ დარგის სპეციალისტები მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის ეწევიან.

სამედიცინო უნივერსიტეტმა მომცა საშუალება, განსხვავებულად დამენახა პაციენტები, ექიმები... რომ ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში დგომა დიდ დროს, ენერგიას, შრომას მოითხოვს, დავესწარი რამდენიმე ოპერაციას, და მივხვდი, რომ ოპერაციის მსვლელობისას, თუნდაც, ჟანგბადის მიწოდებით, თანამონაწილე ხდები სიცოცხლის ზეიმისა. მორიგეობისას შევიცანი ადამიანი, რომლისთვისაც საუბარიც კი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც მას ძალიან სჭირდები. ერთ-ერთი ოპერაციის დასასრულს, ქირურგმა ნება დამრთო ნაკერებზე ლეიკოპლასტი დამეკრა, მაშინდელი ემოცია დაუვიწყარია ჩემთვის, იმის შეგრძნება, რომ ადამიანს დავეხმარე.

ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური საავადმყოფოს პაციენტებთან მუშაობამ სხვა თვალით — ჩვეულებრივ ადამიანებად დამანახა ისინი; მათ მიერ შექმნილმა ხელნაკეთმა ნივთებმა, კი, შეუძლებელია, არ გაგაოცოთ. ვერ წარმომედგინა ასეთი ნიჭით დაჯილდოებულნი და გამორჩეულნი თუ იქნებოდნენ.

თსსუ გაძლევს საშუალებას, დაეუფლო ახალ უნარებს, დაეხმარო სხვებს.

გასულ წელს ვმონაწილეობდი საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დაავადებათა კონტროლის ცენტრის აქტივობაში - „ჯანმრთელი საქართველო — მომავალი C ჰეპატიტის გარეშე“, მოსახლეობასთან შეხვედრისას ბევრს სწავლობ, სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ გენდობიან და მათთვის საჭირო ინფორმაციას გულისყურით ისმენენ. ესეც მომავალი საქმიანობის შემადგენელი ნაწილია; სიტყვა ბევრისმომცველია ადამიანისთვის, მათგან მიღებული ერთი მადლობა ბედნიერს გხდის და დაღლილობის შეგრძნებაც ქრება.

თსსუ-მ მომცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიმეღო რამდენიმე პროექტსა და სტაჟირების პროგრამაში. გასულ წელს ვმონაწილეობდი გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროექტში, რომელიც გაეროს ეგიდით მიმდინარეობდა, სადაც გავიმარჯვე. პროექტში მონაწილეობამ ცოდნა და გამოცდილება შემძინა.

მადლობას ვუხდი პროფესორ-მასწავლებლებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩემ ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, მინდა ვიმუშაო ეპიდემიოლოგად და დავეხმარო ადამიანებს.

მომავალ სტუდენტებს ვურჩევ: — დასახული მიზნის მისაღწევად მონაწილეობა მიიღეთ პროექტებში, გაიარეთ სტაჟირებები, რომელიც ძალიან ბევრს შეგძენთ; ცოდნა, საშუალებას მოგცემთ, უკეთესობისკენ შეცვალოთ სამყარო. დატვირთული სემესტრები შეიძლება დამღლელადაც მოგეჩვენოთ, სანაცვლოდ, ადამიანის მადლიერება იქნება თქვენი პროფესიის თანმდევი და ესაა ყველაზე დიდი ჯილდო ჩვენთვის. პატივი ეცით პედაგოგებს, მათთგან გადმოცემული ცოდნა და გამოცდილება თქვენი წარმატებების საწინდარია. არ შეგეშინდეთ პასუხისმგებლობის და მომავლის, რადგან მომავლის წარმატებები ამ შიშსაც გააქრობს.

სტუდენტობა ჩემი ცხოვრების ღირსეული პერიოდი იყო, რადგანაც ვიპოვე საკუთარი თავი და ადგილი.

ნინო ჭანტურია,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული

დიდი პასუხისმგებლობით

ოთხი წელი გავატარე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სწრაფად გაიარა დრომ, მაინც ბევრი რამ შეიძლება გავიხსენო. სტუდენტობა ულამაზესი წლებია და ამას ახლა ვხვდები, როცა ყველაფერი დამთავრდა. რამდენი რამ გამივლია, მისწავლია, რამდენი წარმატება და იმედგაცრუება მინახავს ამ დროის განმავლობაში. დატვირთული სასწავლო პროცესის მიუხედავად, ბევრია სასიამოვნოდ გასახსენებელი.

უნივერსიტეტმა დიდი ცხოვრებისული გამოცდილება მომცა, არაერთი გამოწვევის წინაშე დამაყენა, მასწავლა რომ ცხოვრება ბრძოლაა და არაერთი სირთულის გადალახვაა საჭირო წარმატების მისაღწევად. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე, შევხვდი საუკეთესო ლექტორებს და მივიღე ცოდნა, რომელიც დამეხმარება სამომავლო მიზნების მისაღწევად.

უნივერსიტეტმა მაპოვნინა ადამიანები, რომლებიც დღეს ჩემი საიმედო მეგობრები არიან. ძალიან გამიმართლა, რომ მე-3 ჯგუფში მოვხვდი. ჩვენ ვიყავით ერთ მუშტად შეკრულნი. ამ 4 წლის განმავლობაში ერთს თუ გაუჭირდებოდა, ყველანი ვეხმარებოდით, ერთად ვმეცადინეობდით, ერთმანეთზე ვზრუნავდით. საგამოცდო სესიების პერიოდში დილიდანვე ცარიელ აუდიტორიებში ვიკრიბებოდით და ერთმანეთს ვასწავლიდით, ვამხნევებდით. ასეთმა დამოკიდებულებამ შემდგომში თბილი და მეგობრული ურთიერთობები ჩამოგვიყალიბა. ჩვენ გვქონდა ხალასი, ლაღი ურთიერთობა ყოველგვარი წყენის, დამცირებისა და შეურაცყოფის გარეშე.

მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო პროფესორ-მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას. სასიხარულოა, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც მუდამ ჩვენს გვერდით იყვნენ, გვამხნევებდნენ, გვაიმედებდნენ, გვეხმარებოდნენ პრობლემების გადაჭრაში, საჭიროების შემთხვევაში შენიშვნას გვაძლევდნენ. მათ გვერდით დაცულად ვგრძნობდით თავს და არასდროს გვქონია უსამართლობის განცდა.

მომავალ სტუდენტებს კი მივმართავ: გერქვას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, ეს უდიდესი სიხარულია. წინ ლამაზი, საინტერესო, დაუვიწყარი და სირთულეებით აღსავსე დრო გელოდებათ, თუმცა, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სადარაჯოზე დგომა დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებთ. ამიტომ აუცილებელია მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოიყენოთ დრო ცოდნის მისაღებად, ხოლო უნივერსიტეტი, ფაკულტეტი, მუდამ თქვენს გვერდით იქნება.

გისურვებთ წარმატებებს !

გეგა კაპანაძე,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული

ახდენილი ოცნება

5 წლის ასაკში უკვე ექიმობა მქონდა გადაწყვეტილი. დრო გადიოდა და ჩემს პროფესიასთან დაკავშირებული შეხედულებები იცვლებოდა, თუმცა ადამიანების დახმარების სურვილმა მაინც თავისი შედეგი გამოიღო, და საბოლოოდ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, რამაც ძალიან დიდი ბედნიერება მომანიჭა.

მიხარია, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. ეს უნივერსიტეტი ნამდვილად საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელია. ჩვენ აქ დარგობრივ ცოდნასთან ერთად, ჰუმანურობას, კეთილსინდისიერებასა და პაციენტის სიყვარულს ვსწავლობდით, რაც ვფიქრობ, ექიმისთვის უპირველესია. ექიმობა ხომ, პირველ რიგში, ზრუნვას და მეტ ჰუმანურობას ნიშნავს. გამოცდილმა ლექტორებმა მაზიარეს პაციენტთან ურთიერთობისას გასათვალისწინებელ ასპექტებს და, რაც მთავარია, მომცეს ცოდნა, რომელიც სამომავლო მიზნების განხორციელებაში დამეხმარება.

ექიმობა განსაკუთრებულ მზაობას მოითხოვს, რომელსაც შინაგანი მოწოდება და ბევრი შრომა სჭირდება. სწავლის პროცესს, რა თქმა უნდა, ახლავს სირთულეები, მაგრამ შრომისმოყვარე სტუდენტებისთვის საუკეთესო შედეგი ადვილი მისაღწევია. ჩემმა მონდომებამ შედეგი გამოიღო, რასაც ყოველი სემესტრის ბოლოს სტიპენდიატთა სიაში საპატიო ადგილიც ადასტურებდა.

დასრულდა სტუდენტობის წლები, წინ კიდევ დიდი გზაა გასავლელი, რომელიც სავსე იქნება სირთულეებითა და გამოწვევებით, თუმცა, პროფესიის სიყვარული ყველაფერს დაგვაძლევინებს. გული მწყდება რომ ეს ყველაფერი დამთავრდა, თუმცა სწავლა გრძელდება მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, რაც შემდგომი წარმატების საწინდარი იქნება.

მინდა მადლიერება გამოვხატო ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანის, ქალბატონ ლელა მასხულიასადმი, რომელიც ყოველთვის გვერდში მედგა და ვმონაწილეობდი პროექტებსა თუ კონფერენციებში, რაც სასიკეთოდ მოქმედებდა ჩემს განათლებასა და პროფესიულ საქმიანობაზე. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ მაგდა ბიბილაშვილს, რომელიც ყურადღებითა და მზრუნველობით გამოირჩეოდა. მადლობა თითოეულ ლექტორს, რომლებმაც მომცეს სათანადო ცოდნა. ეს ადამიანები ჩემთვის მისაბაძნი არიან. დიდი მადლობა თსსუ-ს, მეამაყება, მისი კურსდამთავრებული რომ მქვია.

მომავალო კოლეგებო, წინ ბევრი ლამაზი და საინტერესო დღე გელით. მაქსიმალურად გამოიყენეთ დრო ცოდნის შესაძენად, რათა სასურველ მიზანს მიაღწიოთ და გახდეთ საუკეთესოები საუკეთესოთა შორის. სამედიცინო უნივერსიტეტს კი, ყოველ წელს ეამაყოს თავისი კურსდამთავრებულებით.

თამუნა ზაბახიძე,
ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

დიდი მადლობა ჩემს უნივერსიტეტს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის მანძილზე არც ერთხელ, არ მინანია ჩემი გადაწყვეტილების გამო. დიპლომირებული მედიკოსის სტატუსის ოფიციალურად მოპოვება მხოლოდ დასაწყისია იმ ურთულესი გზის, რომელსაც ექიმობა ჰქვია. სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის საფუძველი, ჩემთვის მედიცინის სიყვარულია, რადგან რთულად წარმომიდგენია სწავლა მაშინ, როცა შენი საქმე არ გიყვარს, არ გაინტერესებს; ასეთ დროს, სწავლის პროცესი, რომელიც სასიამოვნო უნდა იყოს, მოსაწყენი ვალდებულება ხდება და შედეგებიც შესაბამისია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თითოეულ სტუდენტს ყველანაირ შესაძლებლობას აძლევს, მიიღონ ცოდნა, გამოცდილება, არ ჩამორჩნენ თანამედროვე სტანდარტებს და მიღწევებს; სწორედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამსახურებაა, რომ მომეცა შესაძლებლობა, ERASMUS MUNDUS-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გამეტარებინა ერთი სემესტრი რიგაში, ლატვიის უნივერსიტეტში, მიმეღო გამოცდილება, გამეღრმავებინა ცოდნა და თვალსაწიერი და ახლოდან გავცნობოდი ევროპულ სასწავლო სისტემას; გამოცდილების შეძენა აქ არ დასრულებულა, წლების განმავლობაში იყო მრავალი კონფერენცია, კონგრესი, სტაჟირებები საზღვარგარეთ, იყვნენ პედაგოგები, რომლებიც ყოველდღე სწავლობენ, მუდამ წინ მიისწრაფვიან, რათა მათი საქმიანობა კიდევ უფრო ეფექტური იყოს პაციენტებისა, თუ სტუდენტებისთვის; ჩემი აზრით, სწორედ ასეთ ექიმებთან ურთიერთობაა ყველაზე დიდი მოტივაცია სტუდენტებისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს ვურჩევდი, მუდმივად იმუშაონ საკუთარ თავზე, არ ჩამორჩნენ მეცნიერების სფეროში გადადგმულ ნაბიჯებსა და მიღწევებს, რადგან მხოლოდ თავდაუზოგავი შრომითაა შესაძლებელი მედიცინის თანამედროვე გამოწვევებთან გამკვლავება.

დიდი მადლობა ჩემს უნივერსიტეტს ყველაფრისთვის, რაც ამ ექვსი წლის მანძილზე მომცა. ახალი გზა ახლა იწყება. Per traditiones ad futurum...

თამარ გვასალია,
მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

ახალი სიცოცხლის სამსახურში

ჩემი ოცნება იყო, ჩამეცვა თეთრი ხალათი და ჩავმდგარიყავი ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ ოცნება ავიხდინე და ვარ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაკალავრი ბებიაქალის პროგრამის კურსდამმთავრებული, იმ პროფესიის ადამიანი, რომლის დახმარებითაც ქვეყანას ევლინება ახალი სიცოცხლე.

უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა მომცა პროფესიული ცოდნის მიღების, განვითარების და პიროვნებად ჩამოყალიბების საშუალება. თავდაპირველად ყველაფერი, რასაც ირგვლივ ვხედავდი, ახალი და უცხო იყო ჩემთვის. ამ პერიოდში არაერთი გამოწვევის წინაშე დავდექი, რომლის გადალახვაშიც მომავალი პროფესიისადმი სიყვარული დამეხმარა. ბებიაქალის პროფესია მეტად საჭირო და საპასუხისმგებლოა, ახალშობილის ჯანმრთელობა ხომ მნიშვნელოვნად იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ წარიმართა ორსულობის პროცესი და მშობიარობა. მახსოვს პირველ სემესტრში საორიენტაციო კურსის ფარგლებში დავესწარით მშობიარობის პროცესს და დავრწმუნდი, რომ არჩევანი სწორად მქონდა გაკეთებული. მინდა მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და ადმინისტრაციას იმ გარემოს შექმნისთვის, რომელიც გვაძლევს საშუალებას ჩამოვყალიბდეთ კვალიფიციურ და კონკურენტუნარიან სპეციალისტებად. დღეს ამაყი ვარ, რადგან შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჩემი უნივერსიტეტია.

ანა მეგრელიშვილი,
საექთნო საქმის (ბებიაქალი) საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული

ის, რაც გამორჩეულად მიყვარს

დიდხანს ვფიქრობდი რომელი პროფესია ამერჩია სამომავლოდ, ბავშვობიდან მიზიდავდა ბუნებაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებზე დაკვირვება, ვთვლიდი, რომ სამყაროს შესაცნობად საუკეთესო გზა სწორედ ეს იყო და რადგანაც სკოლის პერიოდიდან ქიმია გამორჩეულად მიყვარდა, ჩემი საბოლოო არჩევანიც ამან განაპირობა, მომავალი ქიმიას დავუკავშირე, ქიმიამ კი ფარმაციამდე მიმიყვანა. დროის მსვლელობასთან ერთად დღითიდღე ვრწმუნდები არჩევანის სისწორეში. ფარმაცია, მრავალმხრივი განვითარების საშუალებას იძლევა. უახლოეს მომავალში ვაპირებ ფარმაცევტული ანალიზის განხრით სწავლის გაგრძელებას, რაც ჩემი კარიერული წინსვლისთვის მნიშვნელოვანია. ბედნიერი ვარ, რომ ვსწავლობდი ისეთ პრესტიჟულ უნივერსიტეტში, როგორიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტია და მასწავლიდნენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომელთა მთავარ ფასეულობას განათლება წარმოადგენს. ისინი, — დარგის პროფესიონალები, თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას უშურველად გადასცემენ სტუდენტებს, მადლობა მათ კოლეგიალობისა და მეგობრობისთვის.

მომავალ სტუდენტებს ვურჩევ, იყვნენ მობილიზებულნი და კარგად გაიაზრონ პასუხისმგებლობა, რასაც არჩევანი აკისრებთ. მიზნის მისაღწევად გულმოდგინე შრომა ნამდვილად ფასდება, რადგან თქვენი მთავარი დანიშნულება, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა.

სალომე ასანიძე,
ფარმაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისი

იდგე ადამიანის სიცოცხლის სადარაჯოზე, რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. ძნელია იმ გზის გავლა, რომელსაც ექთნის პროფესიამდე მივყავართ. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია სამედიცინო უნივერსიტეტის დასრულება და ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყება.

ვყოფილიყავი ადამიანების სამსახურში, გავმხდარიყავი ექთანი, ადრეულ ასაკშივე მტკიცედ გადავწყვიტე. გზა მომავალი პროფესიული განვითარებისკენ ამ უნივერსიტეტიდან იწყება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საექთნო საქმის ბაკალავრი ექთნის პროგრამის კურსდამთავრებულმა, სიამაყით შეიძლება ვთქვა, რომ ჩემთვის აქ სწავლის პერიოდი საინტერესო და პროდუქტიული იყო. თითოეულ სტუდენტზე მორგებული სასწავლო გარემო და პროფესიონალი პედაგოგები გაყალიბებენ პიროვნებად.

ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცა გაცვლითი პროგრამა — ერასმუს+-ის ფარგლებში, სტაჟირება გამევლო ლატვიის უნივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯში და კიდევ ერთი ნაბიჯი გადამედგა ჩემს სფეროში განვითარებისა და წინსვლისთვის.

ყველაფერი ეს იმ დამოკიდებულების დამსახურებაა, რაც საექთნო საბაკალავრო (ექთანი/ბებიაქალი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობას აქვს სტუდენტების მიმართ. ეს სასწავლო პროგრამები მაქსიმალურადაა მორგებული სტუდენტებზე განვითარებისა და წინსვლისთვის.

თსსუ გაძლევს ცოდნას და გამოცდილებას, გაყალიბებს პიროვნებად და სპეციალისტად.

ანა ცოფურაშვილი,
საექთნო საქმის (ექთანი) საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული

საკუთარი შრომის შედეგით ბედნიერი ვარ



ამაყი და ბედნიერი ვარ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი რომ მერქვა. თითქმის 100 წლიანი ისტორიის მქონე უმაღლეს სკოლაში შექმნილი გარემო მყარი ცოდნის შეძენის საფუძველს ქმნის. აქ მარტოდენ პროფესიას როდი ეუფლები, არამედ საინტერესო და განსწავლულ პროფესორ-მასწავლებლებთან ურთიერთობა პიროვნულად გზრდის. ფარმაციის ფაკულტეტზე ოთხი წლის წინ ჩავირიცხე, საინტერესოდ შედგენილი სასწავლო პროგრამა, ძირითადად პრაქტიკული სწავლების რეჟიმზეა ორიენტირებული. ყოველი სასწავლო დღე სიახლის მოლოდინით იწყებოდა, სიამაყის განცდა დამეუფლა, როცა დამოუკიდებლად შევძელი პირველი მედიკამენტის შექმნა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ყველა პირობაა სტუდენტისთვის შექმნილი, რომ იყო წარმატებული: — გაცვლითი პროგრამები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, პროექტები აქტუალურ სამედიცინო თემებზე, სტუდენტთა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციები, სრულყოფილი ცოდნის მიღების მყარ საფუძველს ქმნის.

სამი სტიპენდიის მფლობელი გახლავართ („გეფა“, პრეზიდენტის, დავით საგანელიძის სახელობის სტიპენდიები), და სასიამოვნოა ის გარემოება, რომ დამსახურებული ფულადი დაჯილდოება სტუდენტთა მოტივაციას საგრძნობლად ამაღლებს და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენის საშუალებას იძლევა. ბედნიერების განცდა გეუფლება, როცა საკუთარი შრომის შედეგს თვალს ადევნებ.

ჩემო მომავალო კოლეგებო, გისურვებთ წარმატებებს, რადგანაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა წინგადადგმული ნაბიჯია მომავლისკენ.

მეგი ხარიბეგაშვილი,
ფარმაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

იმუნოლოგია — კვლევები კიბოს დასამარცხებლად

ვირჯინიის უნივერსიტეტის (VIRGINIA COMMONWEALTH UNIVERSITY) (აშშ) პროფესორი გიორგი გურული უკვე ორ ათეულ წელზე მეტია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და სამედიცინო საქმიანობას ეწევა, თუმცა საქართველო — მისი სამშობლო, შეუცვლელად რჩება ქვეყანად, რომელთანაც განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებს. საქართველოში გაატარა ბავშვობა, ყმაწვილობა და შემდეგ ახალგაზრდობის გარკვეული წლებიც. აქ ჩაეყარა საფუძველი იმ საძირკველს, რომელზეც შემდეგ წარმატებით ააგო თავისი პროფესიული კარიერა. აქ არის მისი ალმა მატერი — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი... პროფესორ გიორგი გურულს სწორედ მის მშობლიურ უნივერსიტეტში შევხვდით, სადაც მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო სამეცნიერო სკოლაში – „ინოვაციური ტექნოლოგიები კლინიკურ იმუნოლოგიაში: იმუნოდიაგნოსტიკიდან პერსონიფიცირებულ დამიზნებით იმუნოთერაპიასა და იმუნორეაბილიტაციისკენ“.

—დღევანდელ დღემდე რომ მოვსულიყავი, ცხადია, საკმაოდ გრძელი და დატვირთული გზა გავიარე. ინტენსიური იყო რეზიდენტურაში სწავლის 6 წელი, რომელიც პიტსბურგის უნივერსიტეტის (University of Pittsburgh) სამედიცინო ცენტრში გავატარე. ითვლება, რომ ეს საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი პენსილვანიის შტატში ერთ-ერთი ყველაზე კარგი სამედიცინო ცენტრია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მაინტერესებდა ურولოგია, სამედიცინო დარგი, სადაც თავმოყრილი იყო ყველა ახალი ტექნოლოგია ერთად, რობოტის ჩათვლით, ჩემთვის ეს ძალიან საინტერესო იყო.

როცა ვიხსენებ აშშ-ში სწავლისას აკადემიურ პერსონალთან პირველ შეხვედრას, შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან კარგად შემხვდნენ, მათ თანადგომას ვგრძნობდი. ქირურგიული ურولოგიის კათედრაზე დიდი მხარდაჭერა გამოხატეს ჩემ მიმართ. თავიდანვე მივხვდი, რომ მუხლჩაუხრელი შრომა იყო საჭირო: იქ სწავლის პროცესს თუ 2-3 თვეში არ აუღებდი ალღოს, უნდა დაგენებებინა თავი.

— სხვაობა დღესაც არის ჩვენთან მიღებულ გამოცდებსა და USMLE-ის გამოცდებს შორის. იმ დროს, როცა თქვენ გახვედით გამოცდებზე, სხვაობა კიდევ უფრო უფრო დიდი იქნებოდა...

— 1992 წელს, მას მერე, რაც საზღვრები ასე თუ ისე გაიხსნა, პირველი ნაკადი იყო, ვინც ამ გამოცდების ჩასაბარებლად გავიდა საქართველოდან. ამავე გამოცდების ჩაბარებას თვითონ ამერიკელები, დაახლოებით, 4 წელს ანდომებენ. ჩვენთვის ეს გამოცდები მაშინ ახალი იყო და ძალიან განსხვავებული. უკვე მქონდა გარკვეული გამოცდილება პროფესიაში: მას მერე, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე (1983 წ.), ორდინატურა საქართველოს ონკოლოგიურ ცენტრში, ხოლო შემდეგ ასპირანტურა მოსკოვში გავიარე. დავბრუნდი საქართველოში და ვმუშაობდი ონკოცენტრში, ურولოგიის განყოფილებაში. ახლა, რასაც ვხედავ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის თეორიულ სწავლებაში დიდი განსხვავება არ არის. მაშინ დიდი განსხვავება იყო. წავედი და აშშ-ში დავინყე მომზადება გამოცდებისთვის. პირველი ორი წიგნის სწავლის მერე ვიფიქრე: ამ გამოცდებს ალბათ ვერ ჩავაბარებ, კარგია, რომ სამშობლოში დასაბრუნებელი ბილეთი მაქვს, წავალ საქართველოში და იქ გავაგრძელებ საქმიანობას-მეთქი. თუმცა, ეს სირთულე გადავლახე...

— სირთულის გადალახვისას მნიშვნელობა აქვს ადამიანის ხასიათს: მიზანდასახულობას, ბრძოლის უნარს, მაგრამ საბაზისო ცოდნაც იქნებოდა მნიშვნელოვანი...

— ცხადია, და ეს საბაზისო ცოდნა მე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მივიღე. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი იყო და ჩვენს სივრცეში უცხოური სამედიცინო ლიტერატურა თავისუფლად არ არსებობდა, მაინც საფუძვლიანი განათლება მივიღე, რადგან პროფესურისგან მოთხოვნა იყო დიდი.

— როგორ მიმდინარეობდა სწავლის პროცესი რეზიდენტურაში?

— ახლა სხვანაირი წესებია: რეზიდენტურაში სწავლისას, კლინიკაში 36 საათი თუ იმუშავე გადაბმულად, შემდეგ 10 საათი აუცილებლად უნდა დაისვენო, არ შეიძლება ყოველ შაბათ-კვირას მუშაობა, ერთი დღე აუცილებლად უნდა დაისვენო, თვეში 4 დღე მაინც ყველაფრისგან თავისუფალი უნდა იყო. როცა რეზიდენტურაში ვსწავლობდი, თვეები გადიოდა ისე, რომ ერთი დღეც არ მქონდა თავისუფალი. ხანდახან ისე გადიოდა კვირა, 2-3-ჯერ თუ ვახერხებდი შინ მისვლას. ამასთანავე, სწავლა ინტენსიური იყო, პროფესურა – კეთილგანწყობილი. მუშაობას ძალიან ადრე იწყებდნენ. რეზიდენტი რომ ვიყავი, დილის ხუთზე ვიწყებდი საქმიანობას. ახლაც ძალიან ადრე იწყება სამუშაო დღე (დილის 7 საათზე) და საღამოს 7 საათამდე გრძელდება.

ამერიკაში წასვლამდე, ჩემი გამოცდილებით, საბჭოთა კავშირის და საქართველოს კლინიკებში სამედიცინო სისტემა ძალიან იერარქიული იყო. ამერიკაში ახალგაზრდა ექიმის ტრენირება-სწავლება ჰოსპიტალზეა დაფუძნებული და სამედიცინო სისტემა იერარქიული არ არის, ახალგაზრდა კოლეგის აზრს/გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ძალიან დემოკრატიული ურთიერთობებია, რაც ხელს უწყობს სწრაფ პროფესიულ ზრდას.

ამერიკაში თუ ვერ დაასაქმე რეზიდენტი, პროგრამას დახურავენ, ამიტომ კათედრის წევრები დიდ ყურადღებას აქცევენ რეზიდენტის ტრენირებას, რეზიდენტის მიერ გაკეთებული ოპერაციების მოცულობა და რაოდენობა წელიწადში რამდენჯერმე მოწმდება, რომ ყველა ტიპის ქირურგიული ოპერაცია შეასრულო და რაიმე არ დაგაკლდეს. ცხადია, ოპერაციებს დამოუკიდებლად არ აკეთებ, პროფესორი გეხმარება, გყავს მენტორი, რომელიც გვერდით გიდგას და გასწავლის. ამჟამად მე უკვე რამდენიმე წელია (2003 წლიდან) აკადემიურ მედიცინაში ვმუშაობ და ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს ახალგაზრდა თაობა აღვზარდო და ახლა მე გავუზიარო მათ ჩემი ცოდნა და გამოცდილება.

— გყავთ ქართველი რეზიდენტები?

— ურولოგია ძალიან მოთხოვნადი დარგია. ურولოგების რაოდენობა ცოტაა. ამას არეგულირებს არა სახელმწიფო, არამედ American Board of Urology, რომელსაც არ გაუზრდია ურولოგთა რაოდენობა. ამან გამოიწვია სპეციალისტების ნაკლებობა, ურولოგების მაღალი სიხშირით დასაქმება და სამუშაო ადგილის შერჩევის დიდი არჩევანი, რის გამოც პროფესია ამერიკელი სტუდენტებისთვის საკმაოდ მიმზიდველია და აქედან გამომდინარე, კონკურსი ძალიან დიდია და ვაკანტური ადგილები უცხოელებისთვის ძალზე მცირე რაოდენობით არის.

როცა საქართველოში ჩამოვდივარ, ზოგჯერ ურولოგიის ინსტიტუტში ვხვდები რეზიდენტებს – ძალიან ჭკვიანი და ნათელი გონების ხალხია. ერთი-ორჯერ ამერიკაშიც ვნახე ჩვენი ქართველი ახალგაზრდა ურولოგები, ძალიან კარგი ნიშნებით და კომპეტენტურები. სამწუხაროდ, იმდენი ორგანიზაციული საკითხი წამოიჭრა მათი რეზიდენტურაში მიღებისთვის ისეთი რაოდენობის წინაღობები გაჩნდა, რომ ვერ მოხერხდა მათი დაქირავება.

— რამდენი წელი დაგჭირდათ პროფესორის ხარისხამდე რომ მისულიყავით?

— 2003 წელს ასისტენტ-პროფესორი გავხდი, 2008 წელს – ასოცირებული პროფესორი, 2016 წელს კი – სრული პროფესორი. სრული პროფესორობისთვის 30 რეკომენდაცია იყო საჭირო, აქედან 15 – ჩემი უნივერსიტეტიდან (VCU) და 15 – სხვა უნივერსიტეტებიდან, ასევე სწავლების, მეცნიერების და კლინიკური აქტივობის სფეროებში შენი მიღწევები უნდა აღნიშნათ რეკომენდატორებს.

— როგორ აირჩიეთ სამეცნიერო კვლევის თემა იმუნოლოგიაში?

— რეზიდენტურაში სწავლისას, 6 თვით აუცილებლად ლაბორატორიაში უნდა წახვიდე და კვლევებში ჩაერთო. იყო ერთი ურولოგიური ლაბორატორია და ყველა ურولოგი იქ წავიდა, მეც იქ მინდოდა, მაგრამ კათედრის გამგემ შემომთავაზა: განსხვავებისთვის ნახე იმუნოლოგიაში, ძალიან საინტერესოა ეს კვლევებიო. ასე მოვხვდი ლაბორატორიაში, სადაც იმუნოლოგიის სფეროში მიდიოდა კვლევები.

რეზიდენტურა რომ დავამთავრე, განაცხადი შევიტანე გრანტზე, რომ კლინიკური საქმიანობის პარალელურად სამეცნიერო კვლევა მეწარმოებინა. ფედერალური გრანტი მივიღე და ამან დაფარა ჩემი ხელფასის ნაწილი, რამაც საშუალება მომცა, რომ კლინიკაში მემუშავა 3-4 დღე და 2 დღე დამეთმო სამეცნიერო კვლევისთვის.

— რას იკვლევთ კერძოდ?

— ჩემი კვლევის საგანია პროსტატის კიბოს იმუნოლოგია: ურთიერთობა იმუნოკომპეტენტურ უჯრედებსა და პროსტატის კიბოს უჯრედებს შორის; როგორ შეიძლება ეს ურთიერთობა შეიცვალოს, რომ მკურნალობა უკეთესი და ეფექტური იყოს კიბოს უჯრედთან ბრძოლაში; რატომ არის, რომ კიბო ვითარდება და იმუნური სისტემა ვერ გრძნობს...

ქიმიოთერაპია ისეთი ფართოა და იმდენ უჯრედს კლავს გზადაგზა, რომ ძალიან მძიმე გადასატანია პაციენტისთვის. ჩვენ ვლაპარაკობთ კიბოს მეტასტაზებზე, რომელსაც, უმეტეს შემთხვევაში, ქიმიოთერაპიაც არ შველის. იმუნოთერაპია საშუალებას იძლევა, რომ ჯანმრთელი უჯრედი დაავადებულისგან გაარჩიოს და ეფექტურად ჩაანაცვლოს ქიმიოთერაპია.

— კონკრეტული დამაიმედებელი შედეგები თუ მიიღეთ?

— იმუნური სისტემის მართვა ძალიან ძნელია. რაც თეორიულად იცი და გგონია, ყოველთვის ისე არ არის პრაქტიკაში. ჩვენ გარკვეული წარმატებები გვქონდა ლაბორატორიულ კვლევაში და ახლა ვცდილობთ ეს მკურნალობის მეთოდები კლინიკაში დავნერგოთ და მათი ეფექტურობა ავადმყოფებში შევამოწმოთ. ბოლო წლებში ბევრი იმუნოთერაპიული მეთოდი დაინერგა სხვადასხვა ტიპის სიმსივნეების მკურნალობაში.

— ვითარდება მეცნიერება, ბევრი პრობლემა გვარდება, ახალი ჩნდება. დღეს რა არის ახალი გამოწვევა ურولოგიაში?

— ადრეული დიაგნოსტიკა, სხვადასხვა მკურნალობის მეთოდების (ოპერაცია, სხივური თერაპია და ქიმიოთერაპია) კომბინირებული გამოყენება, ეფექტური იმუნოთერაპიული მეთოდების განვითარება და შარდის ბუშტის, თირკმელის, პროსტატის და სხვა ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევებში კლინიკური კვლევების წარმოება და, იმედია, მკურნალობის შედეგების გაუმჯობესება.

— დაბოლოს, როგორი განწყობით შეხვდით თქვენს ალმა მატერს და რას ფიქრობთ მასზე?

— ეს ჩემი უნივერსიტეტია, ფაკულტეტის წევრებთან და სტუდენტებთან შეხვედრები ყოველთვის ძალიან სასიამოვნოა. აქ ძალიან ძნელი იყო მოხვედრაც და სწავლაც. რამდენადაც ვიცი, ასეა ახლაც. სასწავლო წლის ბოლოა და ვხედავ კურსდამთავრებულებს. ვულოცავ მათ! მინდა დაბეჯითებით ვუთხრა სტუდენტებს, რომ თუკი ადამიანი მიზანდასახულია, სწავლა, შრომა და მოთმინება შეუძლია, აუცილებლად სასურველ შედეგს მიიღებს. ოპტიმისტური განწყობა არ დაკარგოთ! იცოდეთ, თქვენს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა ყველაფრის საფუძველია. წარმატებას გისურვებთ!

ლელა მუკბანიანი

ამერიკაში მოღვაწე ქართველი ექიმის, პროფესორ ზურაბ გურულის, ლექცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც. მათ უმრავლესობას უწყვეტი კავშირი აქვს სამშობლოსთან და ცდილობენ საკუთარი გამოცდილების თუ ცოდნის გაზიარებით წვლილი შეიტანონ მომავალი თაობის მაღალპროფესიონალებად ჩამოყალიბებაში. აღსანიშნავია, რომ ისინი არასოდეს ივიწყებენ ალმა მატერს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს და მათი ყოველი სტუმრობაც ჩვენს უნივერსიტეტში სასიხარულო და საამაყოა. ასე იყო ამჯერადაც: 5 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ქართველ ექიმს, მისისიპის მონტგომერის სახელობის ფედერალური კლინიკის ანესთეზიოლოგიის და ინტენსიური ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ ზურაბ გურულს მასპინძლობდა, რომელიც საინტერესო ლექციით წარდგა აუდიტორიის წინაშე. ღონისძიება თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ეგიდით ჩატარდა და მას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

სტუმარს მიმართეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორებმა, პროფესორებმა რიმა ბერიაშვილმა და ირაკლი კოხრეიძემ, რომლებმაც ყურადღება გაამახვილეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების ღვაწლზე უნივერსიტეტისა და, ზოგადად, მედიცინის განვითარებაში: „მედიცინის განვითარება ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული იმ მაღალპროფესიონალების საქმიანობასთან, რომლებიც უცხოეთის საუკეთესო კლინკურ ცენტრებში დახელოვნდნენ და დღეს ცდილობენ თავიანთი ცოდნა-გამოცდილებით დაეხმარონ ქვეყანას, მშობლიურ უნივერსიტეტს და მომავალი თაობის კვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში შეიტანონ წვლილი. უნივერსიტეტს განსაკუთრებით ახარებს მათი წინსვლა, რადგან მათი ყოველი წარმატება ამ უნივერსიტეტის წარმატებაცაა“, – აღნიშნა პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა.

პროფესორ ზურაბ გურულის მიერ წაკითხული საჯარო ლექცია: „ძილის ობსტრუქციული აპნოე“ ამ ფართოდ გავრცელებული პათოლოგიის მიერ გამოწვეულ პრობლემებს შეეხებოდა და დიდი დაინტერესება გამოიწვია. დაისვა არაერთი შეკითხვა, რაზეც ლექტორმა ამომწურავად უპასუხა – მაღალპროფესიონალიზმთან შერწყმული ინტელექტუალობა და ორატორული ხელოვნების ფლობა იპყრობდა მსმენელს და აუდიტორიას კარგა ხანს არ ეთმობოდა ლექტორი...

ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით და ლექციის შემდეგ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ სტუმარს:

— ბატონო ზურაბ, თქვენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ბრძანდებით. სასიხარულოა, რომ თქვენი თანამშრომლობა უნივერსიტეტთან გრძელდება, რისი დასტური დღევანდელი ლექციაცაა. რამდენად კმაყოფილი ბრძანდებით დღევანდელი დღით?

– უპირველესად, მინდა მადლიერება გამოვხატო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისადმი. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ეკა ეკალაძეს, რომლის მოწვევითაც, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ეგიდით, ვიმყოფები ჩემს საყვარელ უნივერსიტეტში, სადაც, ფაქტობრივად, უნივერსიტეტის და ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, აღარ ვყოფილვარ, რადგან 1995 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გავაგრძელე საქმიანობა. ალბათ გასაკვირი არ არის ჩემი განსაკუთრებული ემოცია და, შეიძლება ითქვას, საზეიმო განწყობაც, რაც ამ კედლებში ამჟამინდელი სტუმრობით განვიცადე, რადგან ეს ის უმაღლესი სასწავლებელია, სადაც გატარებულ წლებსაც ყოველთვის სიხარულით და მადლიერებით ვიხსენებ და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამის თავიდან შესწავლა მომიხდა უცხოეთში, ამ უნივერსიტეტმა მომცა საკმარისი ბაზისი იმისთვის, რომ სულ რაღაც წელიწადნახევარში დამეძლია ამერიკული ლიცენზიის ასაღებად საჭირო სპეციალური გამოცდები. რაც შეეხება დღეს წაკითხულ ლექციას, სპეციალურად ავირჩიე ეს თემა, რადგან ის თანაბრად საინტერესოა როგორც სტუდენტებისათვის, ისე პროფესიონალი ექიმებისთვისაც. ერთი შეხედვით უწყინარი, ძილის პროცესის ფართოდ გავრცელებული დარღვევა ძალიან სერიოზულ გართულებებს ინვევს ადამიანის ორგანიზმში და მათი ერთმანეთთან დაკავშირება არც ისე ადვილი საქმეა: ერთგვარ სამედიცინო დედუქციას მოითხოვს.

– ხშირად სტუმრობთ სამშობლოს?

— დიახ, წელიწადში რამდენჯერმე მინევს ჩამოსვლა და მაქსიმალურად ვცდილობ, უნაყოფოდ არ ჩაიაროს ამ ვიზიტებმა. რამდენიმე წელია, რაც ქართულ-ამერიკული სამედიცინო ასოციაციის (GIMPHA) პრეზიდენტი ვარ და ვცდილობთ ხელი შევუწყოთ საქართველოში ჯანდაცვის სექტორის განვითარებას, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. ამჟამად სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ ანესთეზიარეანიმაციის პროგრამის დირექტორის მოვალეობასაც ვასრულებ, რაც უაღრესად საპასუხისმგებლოა ჩემთვის. სამწუხაროდ, დისტანცია რეზიდენტებთან რეგულარული ურთიერთობის საშუალებას არ მაძლევს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ საერთო ძალისხმევით მოვახერხებთ ხარვეზების აღმოფხვრას. ცხადია, ვისურვებდი ფიზიკურად სამშობლოში უფრო ხანგრძლივად ყოფნის შესაძლებლობა მქონდეს, თუმცა ამ ეტაპზე ისიც მნიშვნელოვანია, რომ საშუალება მეძლევა დავეხმარო კოლეგებს ჩემი რეკომენდაციებით თუ გამოცდილების გაზიარებით და გარკვეული წვლილი შევიტანო ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში.

– თქვენი წარმატებული მოღვაწეობა უცხოეთში საუკეთესო მაგალითია ახალგაზრდებისთვის. თქვენ მიერ განვლილი გზის გათვალისწინებით, რა რჩევას მისცემდით უნივერსიტეტის სტუდენტებს, მომავალ ექიმებს?

— ახალგაზრდებს, მომავალ ექიმებს, ძალიან კონკურენტულ გარემოში მოუწევთ საქმიანობა. ინტერნეტის წყალობით კოლოსალური რაოდენობის ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი როგორც პროფესიონალებს, ასევე პაციენტებსაც და თანამედროვე ექიმის განათლება თუ თვალსაწიერი ბევრად უფრო დახვეწილი და ფართო უნდა იყოს. დღევანდელი მსოფლიო აღარ არის ისეთი დიდი და მიუწვდომელი. დაუღალავი შრომა, სწორად არჩეული მიზანი და ამ მიზნისაკენ დაჟინებული სწრაფვა აუცილებლად მოიტანს შედეგს. წარმატებებს გისურვებთ!..

ჩვენი საინტერესო რესპონდენტის სამშობლოში ვიზიტი ხანგრძლივი არასოდესაა, ამიტომაც ამერიკაში გამგზავრებამდე ბევრი უნდა მოასწროს: შეხვდეს, დაეხმაროს, გასცეს, იღვაწოს... ის ხომ ერთი იმათგანია, ვისი პროფესიონალიზმი და ძალისხმევა, სიტყვა და საქმეც ასე ეძვირფასება ქვეყანას.

ნატო გოლქვაძე

Teddy Bear Hospital

თსსუ-ის მედქალაქის ეზოში 16 ივნისს, სტუდენტური ორგანიზაციების: GMSA (საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია), YSU (ახალგაზრდული სამეცნიერო გაერთიანება), EMSA (ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია), სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი კლუბ „ვიტალისის“, ივანე თარხნიშვილის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებისა და თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო საციალური პროექტი „Teddy Bear Hospital“. პროექტი გასართობი და შემეცნებითი აქტივობებით ეხმარება 4-8 წლის ბავშვებს ექიმისა და სამედიცინო გარემოს მიმართ შიშის დაძლევაში.

როგორც ორგანიზატორები განმარტავენ, პროექტის განხორციელების აუცილებლობა წარმოშვა ბავშვების ნეგატიურმა დამოკიდებულებამ პედიატრების და, ზოგადად, თეთრი ხალათის მიმართ. კვლევებზე დაყრდნობით, ორგანიზატორები ამ უხილავი ბარიერის არსებობის 3 ძირითად მიზეზს ასახელებენ:

1. მშობლის მიერ სამედიცინო პერსონალის არასწორი ინტერპრეტაცია, რაც ბავშვის, როგორც პაციენტის, ფსიქოლოგიას ნეგატიურად განაწყობს.

2. სამედიცინო პერსონალის მიერ არასათანადო დამოკიდებულება, ბავშვის, როგორც პაციენტის, მიმართ, რაც წარმოქმნის ან კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ექიმისა და არასასიამოვნო სამედიცინო პროცედურების მიმართ შიშს.

3. ექიმთან იშვიათი გეგმიური ვიზიტები ზრდის ბავშვის უნდობლობას სამედიცინო პერსონალის მიმართ. ზემოთ აღნიშნული პრობლემა დღევანდელობაში მეტად აქტუალურია, რადგან ექიმის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება მნიშვნელოვნად ამცირებს ჯანდაცვის ხარისხს, ზრდის ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებათა პრევალენტობასა და ინციდენტობას.

პაციენტისა და სამედიცინო პერსონალის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით, სტუდენტური ორგანიზაციები და თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა აქტივობებს მომავალშიც განახორციელებენ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე საუნივერსიტეტო კლინიკებში

1 ივნისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ტრადიციულად, განსაკუთრებულად აღინიშნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში.

კლინიკამ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა აქტივობა განახორციელა:

დღის განმავლობაში კლინიკის პატარა პაციენტებს ანიმატორები გასართობი ნომრებით სტუმრობდნენ და ასაჩუქრებდნენ.

მე-200 საჯარო სკოლას კი კლინიკა თავად ეწვია, ექიმებმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები გასინჯეს და უფასო კონსულტაციები გაუწიეს.

განსხვავებულად შეხვდნენ ამ დღეს აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიურ კლინიკაშიც. როგორც ყოველთვის, 1 ივნისს, კლინიკამ ბავშვებს უმასპინძლა. წელს კლინიკას 211-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელები ესტუმრნენ.

კლინიკა საზეიმოდ იყო მორთული და სადღესასწაულო განწყობა სუფევდა. ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, ნანა ყიფიანმა, საინტერესო პრეზენტაცია მოაწყო, სადაც დეტალურად ისაუბრა სტომატოლოგთან პირველი ვიზიტის მნიშვნელობაზე. კლინიკის დირექტორი, ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ლია სანნოძე, მოადგილე სამკურნალო დარგში - სოფიო ჭინჭარაძე, ბავშვთა სტომატოლოგები და რეზიდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ შესანიშნავ ღონისძიებაში.

მადლიერი პატარები კლინიკის აქტივობას ლექსით, სიმღერითა და ცეკვით შეუერთდნენ.. საქველმოქმედო ღონისძიების მხარდამჭერი ჯანდაცვის პროფესიონალთა ლიგა გახლდათ.

ისინი ათასობით არიან, წარმატებულნი და პატივდებულნი თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით... თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ზრდის და გზას ულოცავს თაობებს, ღირსეულად რომ ემსახურებიან ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს შინ თუ გარეთ – სამშობლოსა თუ მის ფარგლებს მიღმა...

რჩეულნი მრავლად არიან — მდიდარი ადამიანური ღირსებებით შემკული ხალხი, საოცარი თავდადებით, მაღალნიჭიერებითა და ღრმა ინტელექტით, საქმის ცოდნით რომ ერთგულებენ ჰიპოკრატესეულ ფიცს, თავგანწირვით ასრულებენ თავიანთ უპირველეს მოვალეობას და ხალხის ნდობა-სიყვარულს იმსახურებენ. საამაყოა, რომ თსსუ-ის კურსდამთავრებულებს საყოველთაო აღიარება აქვთ ჩვენს თუ უცხოეთის კლინიკებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში.

და, ალბათ, ზღვაში წვეთია შესაძლებლობა, გაზეთის ერთ ჩვეულებრივ ფურცელს რომ გააჩნია მათზე საუბროდ; მხოლოდ მცირეოდენზე ვიტყვით. ახალკურსდამთავრებულნი ალბათ მშვენივრად მოახერხებენ მათში დაინახონ მაგალითი მაღალპროფესიონალიზმისა, ამოიცნონ სახე რეალური ექიმისა და მომავალი კოლეგისა, იგრძნონ ბიძგი სამომავლო საქმეთა ღირსეულად ქმნა-კეთებისა.

წარმატებული სტარტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან

ონკოლოგსა და გენეტიკოსს, პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტის კლინიკურ დირექტორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და პარიზის დეკარტიეს უნივერსიტეტის მოწვეულ პროფესორ **ალექსანდრე თავართქილაძეს**, ღრმა ევროპული განათლება და მრავალწლიანი სამეცნიერო-კლინიკური გამოცდილება აქვს. თსსუ-ში სწავლის პერიოდი მისთვის საუკეთესო მოგონებად რჩება, რადგან უნივერსიტეტის წლები ძალიან ნაყოფიერი გამოდგა. შემდეგ სწავლა სტრასბურგში, პასტერის უნივერსიტეტში, კლინიკური ონკოლოგიის მიმართულებით განაგრძო. საფრანგეთის საგანმანათლებლო სისტემის კანონმდებლობით, ჯერ შინაგანი მედიცინის სპეციალისტი გახდა, შემდეგ — ონკოლოგი, პარალელურად სწავლობდა დოქტორანტურაში; სადოქტორი დისერტაციით კი დოქტორის აკადემიური ხარისხი ორივე ქვეყანაში მიიღო. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამჟამად პერსონალიზებულ მედიცინის ინსტიტუტში, ინიცირებულია პერსონალიზებული ონკოლოგიის, კარდიოლოგიის, ნეფროლოგიის, ენდოკრინოლოგიის მეთოდები, რაც მალე ხელმისაწვდომი გახდება ჩვენი მოსახლეობისთვის. პროექტის ზედამხედველობაში ქართველ პროფესორებთან (ბატონი აღექსანდრე თავართქილაძე და ქალბატონი გაიანე სიმონია) აქტიურად არიან ჩართულნი უცხოელი მედიკოსები საფრანგეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, აშშ-დან, იაპონიიდან.

ზურაბ ნადარეიშვილი — ვაშინგტონის ჯონს ჰოპკინსის სამეცნიერო ქსელის ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის ინსულტის ცენტრის სამედიცინო დირექტორი, ნევროლოგიის ასოცირებული პროფესორი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში — 2016 წელს საუკეთესო ექიმ-კონსულტანტად დასახელდა ჯონ ჰოპკინსის სამედიცინო სისტემაში. ინსულტის კლინიკური კვლევის თვალსაზრისით, ეს ინსტიტუტი მსოფლიოს აღიარებული ლიდერია.

ქართველი ექიმის კლინიკური და სამეცნიერო საქმიანობა ძირითადად ინსულტის და ალცჰაიმერის კვლევის და მკურნალობის პრობლემებთანაა დაკავშირებული — აქტიურად ნერგავს რა მკურნალობის ახალ მეთოდებს, ზ. ნადარეიშვილი წარმატებით მუშაობს ალცჰაიმერის დაავადების პრევენციის საკითხებზე. ბატონ ზურაბს საქმიანი ურთიერთობა აქვს კოლეგებთან სამშობლოში, რომელთან თანამშრომლობის და ცოდნა-გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, იმედოვნებს, მნიშვნელოვან სათქმელს იტყვიან ნევროლოგიის ამ ორი დიდი პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარჩინებით დასრულების და ქირურგიის და მეან-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მუშაობის შემდეგ, **რევაზ ბოჭორიშვილმა** 1993 წელს საფრანგეთში, მსოფლიოში აღიარებულ კლემონ ფერანის საუნივერსიტეტო კლინიკის მეანობა-გინეკოლოგიის განყოფილებას მიაშურა პროფესიული დაოსტატებისთვის; სწორედ აქ ჩამოყალიბდა და განვითარდა გინეკოლოგიური ლაპაროსკოპია. ამჟამად ბატონი რევაზი ენდოსკოპიური ქირურგიის საერთაშორისო სასწავლო ცენტრის დირექტორია. მისი ძირითადი საქმიანობა ნაწილდება კლინიკასა და სასწავლო ცენტრს შორის; წარმატებით აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს დიდ საერთაშორისო ჟურნალებში; ბევრს მოგზაურობს საჩვენებელი ოპერაციებისა და სასწავლო კურსების (მასტერ კლასების) ჩატარების მიზნით და მაღალპროფესიულ დონეზე აკეთებს ყველა სახის გინეკოლოგიურ ოპერაციას ამერიკის, აფრიკის, აზიის და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში; აქტიურად თანამშრომლობს სამშობლოსთან და ქართველი ექიმებისთვის ატარებს სწავლებებს ვირტუალური მეთოდებით. გარდა ამისა, ბატონ რევაზს საფრანგეთში სტაჟირებაზე რეგულარულად ჰყავს ახალგაზრდა თანამემამულენი და არას იშურებს მათი მაღალპროფესიონალებად ჩამოყალიბებისთვის.

იასაფ ჰაროფეს სამედიცინო ცენტრი თელ-ავივის უნივერსიტეტის სეკლერის სახელობის მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური და სამეცნიერო ბაზაა, სადაც 2002 წლიდან წარმატებით საქმიანობს **ამირან ჩაჩაშვილი** – უროლოგიური განყოფილების უმაღლესი კატეგორიის დიპლომირებული სპეციალისტი. მაღალტექნოლოგიური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში მის მიერ შესრულებულ უნიკალურ ოპერაციებს პაციენტთა გაჯანსაღების მაღალი მაჩვენებელი აქვს.

— მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის სახელმწიფო არ ცნობს სხვა ქვეყნის დიპლომის ვალიდურობას, მე, როგორც ექიმი, ვამბობ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა დიდი ბაზისური ცოდნა მომცა და საუკეთესო სამეგობრო შემძინა, — აღნიშნავს ბატონი ამირანი.

— წარმატება გააზრებული მიდგომით, სათანადო შრომით და შეცდომებზე სწავლით მიიღწევა, — აღნიშნავს **გიორგი ღოღობერიძე,** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გასული წლის წარჩინებული კურსდამთავრებული, ამჟამად თსსუ-ის რეზიდენტი ნეიროქირურგიასა და ონკოლოგიაში. გიორგის მოუღლელ ენთუზიაზმსა და უზადო ნიჭიერებაზე მეტყველებს მისი საქმიანობის მრავალფეროვანი სპექტრი; იგი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, კითხულობდა ლექციებს ნეიროქირურგიასა და ბიოქიმიაში უცხოენოვანი სტუდენტებისთვის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა და მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრში. მის კოლოსალურ ნიჭსა და მონაცემებზე საუბრობს, თუნდაც, უცხოურ ენაზე წაკითხული ლექციების კურსი 27 სხვადასხვა საგანში. ასე, რომ წინ საინტერესო გზებია და გიორგიც, შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებით, უცილობლად იტყვის უმნიშვნელოვანეს სიტყვას მედიცინაში.

ბიძინა კულუმბეგოვი — ადამიანი, რომელსაც საყოველთაო ავტორიტეტი და აღიარება აქვს არა მარტო სამედიცინო საზოგადოებაში და კოლეგებს შორის, მას იმედით და სიყვარულით შეჰყურებს ათასობით პაციენტი, მშობელი თუ ახლობელი. სტუდენტობის წლებიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით, კვლევისა და ძიების სიყვარულით, უზადო ადამიანური თვისებებით. პირველი წარმატებული ნაბიჯების შემდეგ, მისთვის ასეთივე წარმატებული გამოდგა სვლა მედიცინის მწვერვალებისკენ. ქალაქ ლინცის (ავსტრია) დედათა და ბავშვთა კლინიკაში სტაჟირების შემდეგ, იგი უკვე სამშობლოშია და ამჟამად ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრში კლინიკური განვითარების დეპარტმენტს ხელმძღვანელობს, არის კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი. სხვადასხვა პერიოდში იყო ბერინგერ-ინგრლჰაიმის, ექსომეგას ატოპიური დერმატიტის კვლევის, ასევე, კლაინის ასთმის მკვლევარი, ექიმთა საგანმანათლებლო-სალექციო პრაქტიკული კურსების სპიკერი არაერთი აღიარებული კომპანიის ეგიდით. ევროპის ალერგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის აკადემიის, ევროპის რესპირატორული ასოციაციის წევრი, მრავალი სამეცნიერო კვლევის ავტორი დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიული ღირსების მაქსიმალური შეგრძნებით იღვწის ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასის — ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და გადარჩენისთვის.

ნიკოლოზ ვაშაყმაძე 1993-2000 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი იყო. სწავლის დასრულების შემდეგ გერმანიაში გაემგზავრა და 2003 წელს წარმატებით დაასრულა სამედიცინო განათლება კიოლნის უნივერსიტეტში და კარდიოქირურგიის მიმართულებით კვალიფიკაციის მოპოვებას შეუდგა. თერთმეტწლიანი წარმატებული კლინიკური საქმიანობის შემდეგ, ნ. ვაშაყმაძე სამშობლოში დაბრუნდა და ამჟამად, უცხოეთში შეძენილი მდიდარი კლინიკური გამოცდილების წყალობით, აღიარებული ექიმია.

დარეჯან კომლაძე

პორტრეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ ბესარიონ კილასონიას ნაშრომი — „პორტრეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გამოსცა. წიგნში მოთხრობილია, როგორ მოხდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის აღდგენა თანამედროვე მეთოდებით, ასევე მოყვანილია ბევრი საინტერესო ისტორიული ფაქტი კლასიკოსის ცხოვრებიდან.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლადო გუდიაშვილისეული პორტრეტი ხელოვნების ნიმუშია, მაგრამ არა რეალური პორტრეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომლის ერთადერთი ფოტოსურათი განადგურდა ხანძრის დროს.

გთავაზობთ ორ მცირე ამონარიდს პროფესორ ბესარიონ კილასონიას წიგნიდან:

***

„2017 წლის დეკემბერში აღინიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავი. დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ახალი ინფორმაცია ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ არ დაბეჭდილა.

მეცნიერებაში დაგროვდა პიროვნების იდენტიფიკაციის მრავალი თანამედროვე მეთოდი და დადგა დრო, რომ ამ საკითხზე დავაფიქრო საზოგადოება.

თავის ქალას ძვლებით სახის რეკონსტრუქცია პირველად გააკეთა გერმანელმა ანატომმა ვილჰელმ ჰისმა 1895 წელს და შექმნა კომ-

პოზიტორ იოჰან სებასტიან ბახის სახის გამოსახულება. ეს მეთოდი შემდგომში დაიხვეწა და დღეს უკვე შესაძლებელია, სამგანზომილებიანი ტექნოლოგიების საშუალებით მოხდეს თავის ქალას მიხედვით სახის რეკონსტრუქცია, რაც დღეისათვის პიროვნების იდენტიფიკაციის ეფექტურ მეთოდად ითვლება. სახის რეკონსტრუქცია მოითხოვს სპეციალისტისაგან ანთროპოლოგიის და ძერწვის უნარების კარგ ცოდნას. განასხვავებენ სახის სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციის მანუალურ და კომპიუტერულ მეთოდებს.

მანუალური მეთოდით, თავის ქალაზე ან მის სამგანზომილებიან ასლზე ხდება საძერწი საშუალებების (პლასტილინი, თიხა, ცვილი) დამაგრება და სახის გამოძერწვა. არსებობს სახის სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციის სამი მეთოდი: 1. ამერიკელი კროგმანის მიერ შემუშავებული – სახის რეკონსტრუქცია რბილი ქსოვილების სისქის მიხედვით; 2. რუსული ანუ მ. გერასიმოვის მეთოდი – სახის კუნთების, ხრტილებისა და ჯირკვლების შრეობრივი რეკონსტრუქცია; 3. ბრიტანული ანუ მანჩესტერის მეთოდი, რომელიც შეიმუშავა 1977 წელს ნეავემ – სახის რეკონსტრუქცია რბილი ქსოვილებისა და კუნთების ანატომიური მახასიათებლების გათვალისწინებით. ბრიტანული მეთოდი ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების კომბინაციას წარმოადგენს და მიჩნეულია ყველაზე ეფექტურად, რადგან იძლევა სახის ორიგინალთან ყველაზე მეტად მიახლოებულ გამოსახულებას.

სახის სამგანზომილებიანი კომპიუტერული რეკონსტრუქცია არის სწრაფი, იაფი და ეფექტური მეთოდი — თავის ქალას სამგანზომილებიანი სკანირების შემდეგ ხდება სპეციალური კომპიუტერული პროგრამით სახის რეკონსტრუქცია. მაგალითისათვის მოვიყვან 2012 წელს დიდ ბრიტანეთში ლესტერის უნივერსიტეტის და რიჩარდ III-ის საზოგადოების მიერ განხორციელებულ ერთობლივ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავდა მეფე რიჩარდ III-ის დაკარგული საფლავის მოძიებასა და ნეშტის იდენტიფიკაციას. 2013 წლის 4 თებერვალს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოაჩინეს ადამიანის ჩონჩხი, რომელსაც კარგად გამოხატული სქოლიოზი და მახვილი საგნით მიყენებული მრავლობითი პერიმორტული მოტეხილობები აღენიშნებოდა. ლესტერის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ძვლების რადიაქტიული ნახშირბადით გამოკვლევით დაადგინეს დამარხვის ხანდაზმულობა, კომპიუტერული ტომოგრაფიით ჩაატარეს ტრავმების სასამართლო ანთროპოლოგიური ანალიზი და გენეალოგიური ხის შექმნის შემდეგ ჩატარდა დნმ ექსპერტიზა. იდენტიფიკაციის შემდგომ, დანდის უნივერსიტეტში, პროფესორმა კაროლინა ვილკინსონმა, თავის ქალას სამგანზომილებიანი სკანირებით, სახის კუნთებისა და კანის მოდელირებით მოახდინა რიჩარდ III-ის სახის რეკონსტრუქცია.

უკანასკნელ წლებში გახშირდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცნობილი ისტორიული პირების სახის რეკონსტრუქცია თავის ქალას სამგანზომიებიანი მოდელირებით; სულ ახლახან, 2018 წლის თებერვალში, ინტერნეტში გაჩნდა ცნობა, რომ „ახალგაზრდა ქალბატონის“ მუმიის თავის ქალას სამგანზომილებიანი სკანირებით მოახდინეს ნეფერტიტის სახის რეკონსტრუქცია.

ამ საკითხს შევეხე, რადგან ვფიქრობ, მოვიდა დრო, ნიკოლოზ ბარათაშვილის თავის ქალას მიხედვით მანჩენსტერის მეთოდით მოხდეს სახის რეკონსტრუქცია; არ არის საჭირო მისი თავის ქალას საზღვარგარეთ გაგზავნა — თბილისში უკვე არსებობს სამგანზომილებიანი ასლის გაკეთების საშუალება, რითაც შესაძლებელია სახის ვიზუალური გამოსახულების მიღება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თავის ქალას საშუალებით სახის რეკონსტრუქციამდე საჭირო იქნება მისი ჩონჩხიდან აღებული დნმ შედარდეს მისი სისხლით ნათესავის მასალას, რაც ძნელი არ უნდა იყოს. ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში კარგად არის შენახული და მოვლილი ნიკოლოზის მამის, მელიტონ ბარათაშვილის, საფლავი, საიდანაც შესაძლებელია შესადარებელი ნიმუშის აღება.

ჩვენი მიზანია ნიკოლოზ ბარათაშვილის სახის რეალური პორტრეტის აღდგენა, რადგან 150 წლის ძიების მიუხედავად არ არის მიგნებული პოეტის სურათი და არ ვიცით სინამდვილეში როგორ გამოიყურებოდა ჩვენი გენიალური მგოსანი, რომელსაც რუსთაველის შემდეგ საქართველოს მეორე პოეტს უწოდებდა აკაკი წერეთელი, ხოლო ილია ჭავჭავაძე, 1893 წელს, განჯიდან თბილისში პოეტის ნეშტის გადმოსვენებისას, აღნიშნავდა, ასეთი პოეტი მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა ღმერთი ერს, ქვეყანას მოწყალების თვალით გადმოხედავს, რათა ადამიანს აგრძნობინოს ღირსება და დიდება ერისა, რადგან ღირსებას და სიდიადეს ერისას ამ საწყაოთი სწყავს ადამიანიო. ეს გამორჩეულთა ხვედრია, რადგან: „ამ მადლს, ამ ტვირთს დიდი ძალ-ღონე უნდა სულისა და ხორცისა და ამიტომაც, როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველებისათვის, თვალნი ხედვისათვის, ყურნი სმენისათვის, გულს ჩაუდგა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად და უბრძანა – წადი და კაცთა ნათესავს, ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთეო“.

***

„აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე მონოგრაფიაში „ბარათაშვილის პოეტური გენია“ აღნიშნავს: „ვინაიდან სოფიო ნამდვილად ძალიან გავდა თავის უფროს ძმას, აგრეთვე ილია ორბელიანი, დანარჩენი დებიც ბევრ რამეში ემსგავსებოდნენ პოეტს, გარდა ამისა, ოთხივე დის ფოტოგრაფიული გამოსახულება ჩვენამდე მოღწეულია, ახლა საჭიროა ერთი რამ გაკეთდეს: მიხეილ თუმანიშვილის ცნობილი ესკიზის, პოეტის თანამედროვეთა აღწერების, ილია ორბელიანისა და ბარათაშვილის დების პორტრეტების ანალიტიკურ-სინთეტიკური მეთოდით აღსდგეს „მერანის“ ავტორის ძვირფასი სახე“ ნახევარი საუკუნის წინ გამოთქმული ამ მოსაზრების გადაწყვეტა დღევანდელ პირობებში, ვფიქრობ, კომპიუტერული პროგრამით ადვილი შესასრულებელია და ამ მიზნით მივმართე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ჰაბიტოსკოპიური და კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილების უფროსს ზურაბ ებელაშვილს, რომლის დახმარებითაც, დავეყრდენით რა მ. თუმანიშვილის ესკიზს, ნ.ბარათაშილის დების და, განსაკუთრებით, უმცროსი დის, სოფიო ბარათაშვილის სურათს, ასევე ნ. ბარათაშვილის თანამედროვეთა მოგონებებს, შევქმენით ნ. ბარათაშვილის პორტრეტი, რომელიც მიახლოებული იქნება რეალობასთან, მაგრამ სრულფასოვანი გამოსახულების მისაღებად საჭიროა ბარათაშვილის ნეშტის ექსჰუმაცია და დღეს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდით, თავის ქალას მიხედვით, რეალური პორტრეტის შექმნა.

ჩემი ნაშრომის მიზანია ქართულ საზოგადოებას დავანახო ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის შექმნის აუცილებლობა. სასამართლო მედიცინას, რომელიც იყენებს ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებების თანამედროვე მიღწევებს, შესაძლებლობა აქვს ადამიანის თავის ქალასგან 3D პრინტერით მიღებული გამოსახულებისაგან მოახდინოს სახის სრული რეკონსტრუქცია და მიღებული სურათი ობიექტურად ასახავდეს პიროვნების საძიებელ სახეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ცნობილია პიროვნების თვალისა და თმის ფერი, ცხვირისა და წარბების ფორმა, რაც ნიკოლოზ ბარათაშვილის შემთხვევაში კარგად არის შემონახული თანამედროვეთა მოგონებებით. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას სჭირდება სახელმწიფოს მართვის ორგანოებისა და საზოგადოების თანხმობა“.

მომავალი მედიკოსების აღზრდის სამსახურში

ბედნიერია ადამიანი, რომელიც მონდომებით და სიყვარულით ემსახურება საპასუხისმგებლო და, ამავდროულად, სათუთ და საამაყო საქმეს — მომავალი მედიკოსების აღზრდა-განათლებას. პედაგოგიური საქმიანობა, შერწყმული საექიმო და სამეცნიერო მუშაობასთან, პროფესორ ზურაბ ზედანიას, ცხოვრებისა და მოღვაწეობის განუყოფელი ნაწილია. ახლახან, ბატონ ზურაბს 80 წლის საიუბილეო თარიღი შეუსრულდა; გასახსენებელიც ბევრია — პროფესორმა გიორგი მხეიძემ, უბადლო თერაპევტმა და პედაგოგმა, გამორჩეული მოწაფე ასისტენტად დანიშნა და მე მომაბარა ექიმის პროფესიის რთული ლაბირინთების შესასწავლად.

თსსუ-ის სანიტარულ-ჰიგიენური, სტომატოლოგიური და პედიატრიული ფაკულტეტების საფაკულტეტო თერაპიის კათედრაზე, ასისტენტის თანამდებობაზე მისვლამდე, მარტვილის რაიონის ულამაზესი სოფლის მკვიდრი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ზურაბ ზედანია, გაგრის რაიონული საავადმყოფოს პედიატრიულ განყოფილებაშიც მუშაობდა და უბნის თერაპევტადაც, ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ცნობილ პროფესორ ი. ფაღავას ხელმძღვანელობით, ცხრა საინტერესო წელი მის ბიოგრაფიაში წარმატებული საექიმო საქმიანობის საფუძველი შეიქმნა.

ბატონმა ზურაბმა, პროფესორ გედი გელბახიანის ხელმძღვანელობით, ჩაატარა მეტად საინტერესო მეცნიერული კვლევა სისხლის ცილების სპექტრის შესასწავლად ღვიძლის ქრონიკული უკმარისობის დროს, სადაც უახლესი კლინიკურ-ბიოქიმიური მეთოდი, კერძოდ, დისკელექტრო-ფორეზი, გამოიყენა. მიღებული სამეცნიერო შედეგები ახალი სიტყვა იყო თერაპიაში, რაც საფუძვლად დაედო მის საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომს. ნაშრომმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა თბილისში გამართულ ნეფროლოგთა საკავშირო ყრილობაზე, რომელსაც აკადემიკოსი ე. ტარაევი ხელმძღვანელობდა. ზურაბ ზედანიას მიერ შესრულებულ 50 სამეცნიერო ხასიათის ნაშრომს და რეკომენდაციებს მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს.

ბატონი ზურაბი, არა მარტო ღრმად განსწავლული თერაპევტი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე კლინიცისტი და პედაგოგია, არამედ საქართველოს მოყვარული და გულშემატკივარი ადამიანიცაა, რომელმაც მრავალ განსაცდელს გაუძლო და ისევ პირნათლად ემსახურება საყვარელ საქმეს; იგი, ასევე, ქართული პოეზიის შესანიშნავი მცოდნე და თაყვანისმცემელია.

საიუბილეო თარიღს ვულოცავთ შესანიშნავ ექიმსა და პედაგოგს, არაჩვეულებრივი ოჯახის თავკაცს, ბატონ ზურაბ ზედანიას და ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ.

პროფესორი
ვაჟა გვანცელაძე,

თსსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

შოუში გამარჯვებული



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულზე, ლაშა სამჭკუაშვილზე, ცოტა ხნის წინ ბევრი ალაპარაკდა: სწორედ ის გახდა იღბლიანი გამარჯვებული, რომელმაც ინტელექტუალურ სატელევიზიო შოუში 25 000 ლარი მოიგო. ლაშა სამჭკუაშვილზე ინტერნეტპორტალმა ambebi.ge-მ სტატია გამოაქვეყნა. გთავაზობთ ამ სტატიას და კიდევ ერთხელ ვუსურვებთ ყველა კურსდამთავრებულს წარმატებას. ლაშას კი ვულოცავთ ამ გამარჯვებას.

„ტელეიმედის შოუს „ცოდნა ფულია” 10 მარტის გადაცემის გამარჯვებული მომავალი ექიმი, 25 წლის ლაშა სამჭკუაშვილია. იგი თბილისში დაიბადა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დაამთავრა. ამჟამად „ჯოენის” კლინიკაში მუშაობს და პრაქტიკულ გამოცდილებას იღებს. მომავალში კი ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგობა სურს.

ბოლო კითხვა, რომელმაც ლაშას შოუში გამარჯვება მოუტანა, ასეთი იყო:

ოპიორფინი არის მორფინზე რამდენჯერმე ძლიერი ნივთიერება, რომელიც პირველად გამოყვეს ადამიანის:

a. ცრემლიდან
b. ლიმფიდან
c. ნერწყვიდან
d. ლიქვორიდან

ლაშამ სწორი პასუხი - c - ინტუიციურად დააფიქსირა და 25000 ლარი მოიპოვა. ლაშამ ჭკვიანურად, მშვიდად ითამაშა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

2006 წელს ადამიანის ნერწყვის შესწავლისას მეცნიერებმა მასში აღმოაჩინეს მორფინზე გაცილებით ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი თვისებების მქონე ნივთიერება, რომელსაც ოპიორფინი უწოდეს.

მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ამ ნივთიერებას მალე პრეპარატის სახით დაამზადებენ, რადგან წინასწარი მონაცემებით, მორფინისგან განსხვავებით, იგი არ იწვევს შეჩვევას და თან მორფინზე უფრო ძლიერმოქმედია. ბუნებრივი წარმოშობის გამო ოპიორფინს არ გააჩნია გვერდითი ეფექტები. ასევე შესწავლისას დადგინდა, რომ ოპიორფინი ანტიდეპრესანტული თვისებების მატარებელია“.

„სამედიცინო გაზეთის“
რედაქცია
ვაჟა-ფშაველას
გამზირი №33,
ოთახი №600,
ტ.: 254-24-64

რედაქტორი
ლელა მუკბანიანი
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.:555 29 98 27
დარეჯან კომლაძე
ტ.:558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა
newspapertsmu@gmail.com